პროლეტარეტო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 36-ე წელი
№ 83 (10477)

შაბათი, 7 აპრილი, 1956 წ.

ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერში:

შვეიცის პრემიერ-მინისტრი ტ. ერლანდერი სოხუმში ჩამოვიდა (1-ლი გვერდი).

თბილისში ჩამოვიდა შვეიცის პრემიერ-მინისტრი ტ. ერლანდერი (1-ლი გვერდი).

აბრეშუმეულობის ინდუსტრიის ... — **რ. დავითური.** — კვადრატებს სიზუსტე უყვართ; **ვ. კოპალეიშვილი.** — მცირე მოსავალი მიიღეს, ცუდად ემზადებიან (მე-2 გვერდი).

დ. ავაზაშვილი. — უკეთ დავეხმაროთ სკოლას (მე-2 გვერდი).

ინდოჩინეთის შესახებ ჟენევის თათბირის ორი თავმჯდომარის შეხვედრის საკითხისათვის (მე-2 გვერდი).

ეს ბაკეთდება მეეძვსე ხუთწლედში. — **ა. მელაძე.** — ადგილობრივი ... ნედლეულის გამოყენების გზით (მე-3 გვერდი).

რაიონული გაზეთების ... ტიკიდან. — მეტი შრომისმოყვარეობა, ორგანიზაციული მუშაობის მაღალი დონე (მე-3 გვერდი).

წარმოების ნოვატორების შეხვედრა მოსწავლეებთან (მე-3 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

გულისხმიერად მოვეკიდოთ მშრომელთა წერილებსა და სიგნალებს

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებანი გამსჭვალულია დიადი ლენინური ზრუნვით ხალხის კეთილდღეობისათვის, მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, საბჭოთა ინტელიგენციის მზარდ მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა სრული დაკმაყოფილებისათვის.

საბჭოთა ადამიანები, მშრომელები მუდამ იყვნენ და არიან ჩვენი პარტიის ყურადღების ცენტრში. პარტიას არა აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს სხვა ინტერესები, გარდა ხალხის ინტერესებისა, გარდა მშრომელთა ბედნიერებისათვის ბრძოლისა. სწორედ ამიტომ ხალხს უყვარს თავისი მშობლიური კომუნისტური პარტია და მხარს უჭერს მას.

ჩვენი პარტიის ძალისა და უძლეველობის ერთ-ერთი დაუშრეტელი წყაროა მისი მჭიდრო და განუყრელი კავშირი მშრომელ მასებთან. მშრომელები დაინტერესებული არიან კომუნისტური მშენებლობის წარმატებებით, და ამიტომ არის, რომ გაბედულად აშიკარავებენ ნაკლოვანებებს, გამოთქვამენ თავიანთ წინადადებებს სახალხო მეურნეობისა და კულტურის სხვადასხვა დარგში მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

პარტიის XX ყრილობამ აღნიშნა, რომ მშრომელთა საჭიროვნები საბჭოთა დაწესებულებების ცუდი მუშაობის შესახებ არსებითად კონტროლია ქვემოდან. ყრილობამ მოითხოვა გაძლიერდეს ზრუნვა მშრომელების საარსებო საჭიროებათა დაკმაყოფილებისათვის, მეტი ყურადღება მიექცეს მათ სიგნალებს, ამ სიგნალებზე სწრაფი რეაგირებით განმსჭვალოს ყველა საბჭოთა დაწესებულების საქმიანობა.

საბჭოთა პრესა, რომელიც იბრძვის პარტიის მიერ დასახული ამოცანების წესრიგულებისათვის, ულმობლად ამხილებს ჩვენი მუშაობის ნაკლოვან მხარეებს. მშრომელები გაზეთების თურცლებზე გამოთქვამენ თავიანთ აზრებს, წინადადებებს სამეურნეო და კულტურული მშენებლობის სხვადასხვა საკითხზე.

მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მშრომელთა წერილების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვა ადგილობრივ ორგანიზაციებში. შემცირდა განხილვის ვადები, მოწესრიგდა მათი მოძრაობის აღრიცხვა და კონტროლი. მაგრამ ყველა ორგანიზაციაში ჯერ კიდევ სათანადო ყურადღებით როდი ეკიდებიან მშრომელთა წერილებს, არ ეხმაურებიან პრესის სიგნალებს, დუმილით უვლიან გვერდს მხილებულ შეცდომებსა და ნაკლოვანებებს.

გაზეთ „კომუნისტის“ ფურცლებზე ამ უკანასკნელ ხანს დაიბეჭდა არაერთი კრიტიკული წერილი და შენიშვნა, რომლებშიც მხილებული იყო პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ორგანიზაციების ნაკლოვანებანი. მაგრამ გაზეთის კრიტიკულ შენიშვნებს ზოგერთი ორგანიზაციის ხელმძღვანელები დღემდე არ გამოხმაურებიან. „კომუნისტის“ 1955 წლის 2 ივლისის ნომერში გამოქვეყნდა მამხილებელი წერილი — „ქაღალდების ნიაღვარი და ერთი გადაუწყვეტელი საკითხი“. წერილი ეხებოდა სახეზრის რაიონში მიწათსარგებლობის მოუწესრიგებლობის ფაქტებს. წერილში მოყვანილი იყო მიწათსარგებლობის წესების დამახინჯების აღმაშფოთებელი ფაქტები, რომლებიც სათანადო რეაგირებას მოითხოვდა. მაგრამ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ საჭიროდ არ ჩათვალა ეცნობებინა რედაქციისათვის, თუ რა ღონისძიებები განახორციელა გაზეთის მიერ მხილებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად. მიუხედავად რედაქციის მიერ რამდენჯერმე შეხსენებისა, გაზეთის კრიტიკულ გამოსვლას სამინისტრო დღემდე დუმილით უვლის გვერდს, თითქოს ეს მას არ ეხებოდეს.

„კომუნისტის“ ა. წ. 27 იანვრის ნომერში დაიბეჭდა წერილი „თესლის მომზადებას აჭიანურებენ“, რომელიც ეხებოდა თეთრი წყაროს რაიონის კოლმეურნეობებში საგაზაფხულო თესვისათვის მზადებას. პარტიის თეთრი წყაროს რაიკომი, მიუხედავად რედაქციის მიერ ორჯერ შეხსენებისა, წერილს არ გამოხმაურებია.

მშრომელთა წერილებისადმი, საჩივრებისადმი არაგულისხმიერ დამოკიდებულებას იჩენს პარტიის ვანის რაიკომი. მოქალაქე ა. ტყეშელაშვილმა გასული წლის ივნისში განცხადებით მომართა რედაქციას, წერდა სოფელ ქვედა ბზვანის კიკვიძის სახელობის კოლმეურნეობაში შრომის მოუწესრიგებლობის შესახებ. განცხადება პარტიის ვანის რაიკომს გადაეგზავნა. სამწუხაროდ, სიგნალი უყურადღებოდ იქნა დატოვებული, მიღებული ზომების შესახებ რედაქციისათვის დღემდე არ შეუტყობინებიათ.

მთელ რიგ დაწესებულებებში ირღვევა საჩივრების განხილვის ვადები, არ აწესებენ კონტროლს განცხადებათა მსვლელობისა და ამ განცხადებათა მიხედვით მიღებული გადაწყვეტილებებისადმი. მოქალაქეებს ზოგჯერ ფორმალურ პასუხს აძლევენ.

მშრომელთა განცხადებებისადმი უსულგულო, ბიუროკრატიული დამოკიდებულების ფაქტებს ადგილი აქვს ბათუმის საქალაქო საბჭოს აღმასკომის კომუნალურ განყოფილებასა და საბინაო სამმართველოში. აჭარის სსრ პროფსაბჭოს უფროსი ინსტრუქტორი ვ. სიორიძე რედაქციას სწერს, რომ საცხოვრებელ ბინაში მიმდინარე რემონტის გაკეთებას 1952 წლიდან ჰპირდებოდნენ. ეს დაპირება 1955 წლის ოქტომბერში იმით შეუსრულეს, რომ საცხოვრებელ ბინას რემონტი უვარგისი ნედლი მასალით გაუკეთეს. მან კვლავ მიმართა განცხადებით საქალაქო საბჭოს აღმასკომის კომუნალურ განყოფილებას, ითხოვდა განცხადების არა ფორმალურ დაკმაყოფილებას, არამედ ბინის ხარისხიან რემონტს. მაგრამ მისი საჩივარი საქმეში ჩააკერეს, ხოლო საცხოვრებელი ბინის სარემონტო სამუშაოების უხარისხოდ შემსრულებელნი, წუნისმკეთებლები დაუსჯელი დატოვეს. მშრომელის კანონიერი მოთხოვნის აბუჩად აგდება ამაზე შორს ვერ წავა.

პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების ყოველდღიური საბრძოლო ამოცანაა განუწყვეტელი ბრძოლა აწარმოონ საქმის გაჯანსაღების, უდარდელობის, უპასუხისმგებლობის წინააღმდეგ, მშრომელთა საჭიროებებისა და მოთხოვნილებებისადმი უყურადღებო, უგულებელყოფილი დამოკიდებულების წინააღმდეგ. საჭიროა ბოლო მოეღოს უსულგულო დამოკიდებულებას მშრომელთა განცხადებებისადმი.

მშრომელთა წერილებისა და სიგნალებისადმი გულისხმიერი დამოკიდებულება იმას ნიშნავს, რომ დროულად გავნეოლოთ და აღმოვფხვრათ ჩვენი მუშაობის ნაკლოვანებანი, მხარი დავუჭიროთ მასების შემოქმედებითს ინიციატივას, დავეხმაროთ პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებს უკეთესად შეასრულონ მათ წინაშე დასახული ამოცანები.

შვეიცის პრემიერ-მინისტრი ტ. ერლანდერი სოხუმში ჩამოვიდა

სოხუმი, 6 აპრილი. (საქდესი). 5 აპრილს სოხუმში ჩამოვიდა შვეიცის პრემიერ-მინისტრი ტ. ერლანდერი, რომელიც სსრ კავშირში სტუმრად არის საბჭოთა მთავრობის მოწვევით. მასთან ერთად ჩამოვიდნენ შვეიცის შინაგან საქმეთა მინისტრი გ. ჰედლუნდი, შვეიცის საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლიტიკური განყოფილების გამგე გ. იარინგი, პრემიერ-მინისტრის პირადი მდივანი უ. პალმე, შვეიცის ელჩი სსრ კავშირში რ. სულმანი, შვეიცის საგარეო საქმეთა სამინისტროს სავაჭრო განყოფილების მეორე მდივანი გ. ლორენტცონი. შვედი ჟურნალისტები და სხვა თანმხლები პირები.

შვეიცის პრემიერ-მინისტრ ტ. ერლანდერთან ერთად სოხუმში ჩამოვიდნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ვ. ს. სემიონოვი, სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი შვეიცარიაში კ. კ. როდიონოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს მრჩეველი ა. მ. ალექსანდროვი.

პრემიერ-მინისტრ ტ. ერლანდერისა და სხვა შვედი სტუმრების შესახვედრად სოხუმის აეროდრომზე მოვიდნენ აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. მ. ლაბახუა, აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ს. ი. არშბა, აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე გ. ი. ბერულავა, აფხაზეთის ასსრ მინისტრები, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები. აეროდრომი მორთული იყო შვეიცის, საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ალმებით. შეხვედრის დროს შესრულებულ იქნა შვეიცის, საბჭოთა კავშირისა და საქართველოს რესპუბლიკის ჰიმნები.

შვეიცის პრემიერ-მინისტრმა ტ. ერლანდერმა მოკლე სიტყვით მიმართა შეკრებილთ.

სოხუმში ჩამოსვლის შემდეგ მალე შვეიცის პრემიერ-მინისტრმა ტ. ერლანდერმა ოფიციალური ვიზიტი გაუკეთა აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ა. მ. ლაბახუას.

ეფრო გვიან სტუმრები იყვნენ სოხუმის ბოტანიკურ ბაღში, ნახეს დრამატული თეატრის შენობა, დაათვალიერეს ქალაქი სოხუმის მთიდან.

საღამოს აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. მ. ლაბახუამ სადილი გამართა შვეიცის პრემიერ-მინისტრის ტ. ერლანდერისა და სხვა შვედი სტუმრების პატივსაცემად.

* * *

სოხუმი, 6 აპრილი. (საქდესი). 6 აპრილს შვეიცის პრემიერ-მინისტრი ტ. ერლანდერი და მისი თანმხლები პირები სოხუმიდან თბილისში გაემგზავრნენ.

სოხუმიდან გამგზავრების წინ შვეიცის პრემიერ-მინისტრმა ტ. ერლანდერმა და მისმა თანმხლებმა პირებმა ქალაქში გაისეირნეს. სტუმრები იყვნენ ლენინის სახელობის პარკში, ზღვის სანაპიროზე, დაათვალიერეს ქალაქის სხვა ღირსშესანიშნაობანი.

სოხუმის აეროდრომზე შვეიცის პრემიერ-მინისტრი ტ. ერლანდერი და მასთან ერთად ჩამოსული შვედი სტუმრები გააცილეს აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. მ. ლაბახუამ, აფხაზეთის ასსრ მინისტრებმა, საზოგადოებრიობის წარმომადგენლებმა.

თბილისში ჩამოვიდა შვეიცის პრემიერ-მინისტრი ტ. ერლანდერი

შვეიცის პრემიერ-მინისტრი ტ. ერლანდერი, რომელიც მოგზაურობს საბჭოთა კავშირში, 6 აპრილს ჩამოვიდა თბილისში. მასთან ერთად ჩამოვიდნენ შინაგან საქმეთა მინისტრი გ. ჰედლუნდი და მისი მეუღლე, შვეიცის საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლიტიკური განყოფილების გამგე გ. იარინგი და მისი მეუღლე, პრემიერ-მინისტრის პირადი მდივანი უ. პალმე, შვეიცის საგარეო საქმეთა სამინისტროს სავაჭრო განყოფილების მეორე მდივანი გ. ლორენტცონი და პრესის საქმეთა სპეციალური წარმომადგენელი შვეიცის პრემიერ-მინისტრთან ს. ფრიკიუსი, აგრეთვე შვედი ჟურნალისტების ჯგუფი.

თბილისის აეროდრომზე, რომელიც მორთული იყო შვეიცის, სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ალმებით, პრემიერ-მინისტრ ტ. ერლანდერს შეხვდნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე და საგარეო საქმეთა მინისტრი მ. ი. კუჭავა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე გ. ი. ჩოგოვაძე, საქართველოს სსრ მინისტრები გ. ა. ჯაბუა, ა. ლ. გუნია, გ. ნ. ჯიბლაძე, ვ. ნ. ჯანჯღავა, ა. ა. გიგოშვილი, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე მ. კ. მაღრაძე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები ა. ნ. ინაური, ლ. მ. გიორგაძე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, საზოგადოებრიობის, პრესის წარმომადგენლნი.

10 საათი და 30 წუთია. თვითმფრინავი აეროდრომზე ეშვება. შეკრებილნი გულთბილად ხვდებიან ტ. ერლანდერსა და მის თანმხლებ პირებს. ორკესტრი ასრულებს შვეიცის, საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ჰიმნებს.

მიმართავს რა მისალმების სიტყვებით შვეიცის მთავრობის მეთაურს ბ-ნ ტ. ერლანდერს, მ. ი. კუჭავა გამოთქვამს რწმენას, რომ მისი ჩამოსვლა საბჭოთა კავშირში ხელს შეუწყობს სსრ კავშირისა და შვეიცის მეგობრობისა და თანამშრომლობის განმტკიცების საქმეს, მშვიდობის საქმის განმტკიცებას.

მიკროფონთან მიდის ბ-ნი ტ. ერლანდერი. იგი მადლობას გამოთქვამს გულთბილი მიღებისათვის, იმისათვის, რომ შესაძლებლობა მიეცა ჩამოსულიყო საქართველოს სს რესპუბლიკაში, გასცნობოდა მის ეკონომიკასა და კულტურას.

ხანმოკლე დასვენების შემდეგ შვეიცის პრემიერ-მინისტრი ტ. ერლანდერი ეწვია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილესა და საგარეო საქმეთა მინისტრს მ. ი. კუჭავას.

შემდეგ ტ. ერლანდერი და მისი თანმხლები პირები გაემგზავრნენ ქალაქ რუსთავში. აქ მათ დაათვალიერეს სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხანა. საწარმოს დირექტორმა ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატმა ნ. გ. გომელაურმა შვედ სტუმრებს გააცნო წარმოება. კოქსქიმიურ საამქროში მათ ნახეს კოქსის მიღება ბატარიიდან, მარტენის საამქროში — ფოლადის დნობის პროცესი.

მიმართა რა მუშებს, შვეიცის პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, რომ მათთვის, ალბათ, სასიამოვნოა მუშაობა ქარხანაში, სადაც ასეთი სრულყოფილი ტექნიკაა. მუშებთან საუბარში მას აინტერესებდა საიდან ჩამოვიდნენ ისინი წარმოებაში, როგორ დაეუფლნენ თავიანთ პროფესიებს.

განაგრძეს რა ქარხნის დათვალიერება, სტუმრები შეავიდნენ ბლუმინგის საამქროში. სამართავი პულტიდან ისინი თვალყურს ადევნებდნენ ცხელი ზოდების გაგლინვის პროცესს. მილსაგლინავ საამქროში ტ. ერლანდერის ყურადღება მიიპყრო წარმოების მოწინავე მუშათა საპატიო დაფამ. ყველა საამქროში სტუმრებს გულთბილი შეხვედრა გაუმართეს.

გამოეთხოვა რა მეტალურგებს, ტ. ერლანდერმა თქვა, რომ ქარხნის დათვალიერებამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მასზე და რომ იგი შვედ მუშებს გადასცემს სალამს საწარმოს კოლექტივისაგან. რუსთაველმა მეტალურგებმა განაცხადეს, რომ მოხარული იქნებიან, თუ შვედი მუშები ესტუმრებიან მათ.

ქალაქ რუსთავში მოგზაურობის დროს ტ. ერლანდერს ახლდნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ვ. ს. სემიონოვი, სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი შვეიცარიაში კ. კ. როდიონოვი, შვეიცის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში რ. სულმანი.

ჩამოსვლის დღეს საღამოს შვედი სტუმრები ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში დაესწრნენ სპექტაკლს „აბესალომ და ეთერს“. მაყურებლები და მსახიობები გულთბილად მიესალმნენ მათ. (საქდესი).

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ მ. ი. კუჭავამ დარბაზობა გამართა შვეიცის პრემიერ-მინისტრ ტ. ერლანდერის პატივსაცემად

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ და საგარეო საქმეთა მინისტრმა მ. ი. კუჭავამ 6 აპრილს დარბაზობა გამართა შვეიცის პრემიერ-მინისტრ ტ. ერლანდერის პატივსაცემად.

დარბაზობას დაესწრნენ შვეიცის შინაგან საქმეთა მინისტრი გ. ჰედლუნდი და მისი მეუღლე, შვეიცის საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლიტიკური განყოფილების გამგე გ. იარინგი და მისი მეუღლე, პრემიერ-მინისტრის პირადი მდივანი უ. პალმე, შვეიცის საგარეო საქმეთა სამინისტროს სავაჭრო განყოფილების მეორე მდივანი გ. ლორენტცონი, პრესის საქმეთა სპეციალური წარმომადგენელი შვეიცის პრემიერ-მინისტრთან ს. ფრიკიუსი, შვედი ჟურნალისტები.

დარბაზობაზე იყვნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ვ. ს. სემიონოვი; სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი შვეიცარიაში კ. კ. როდიონოვი, შვეიცის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში რ. სულმანი.

დარბაზობას დაესწრნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილენი გ. ი. ჩოგოვაძე და ვ. გ. ქერქაძე, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე მ. კ. მაღრაძე, მინისტრები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი, პრესის წარმომადგენლნი.

დარბაზობამ გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა. (საქდესი).

...

ბიბლიოთეკა

საბჭოთა ჟურნალისტების კავშირი

4 აპრილს გაიმართა სარგანიზაციო ბიუროს პირველი სხდომა, რომელიც მოსამზადებელ მუშაობას ეწევა ახალი შემოქმედებითი სრულიად საკავშირო ორგანიზაციის — საბჭოთა ჟურნალისტების კავშირის შესაქმნელად. ამ ბიუროს შემადგენლობაში შედიან ნ. გ. პალგუნოვი (თავმჯდომარე), დ. პ. გორიუნოვი და დ. ფ. კრამინოვი (თავმჯდომარის მოადგილეები), ი. ა. ანდრეევი, ბ. ს. ბურკოვი, ა. გ. ბაულინი, ა. ი. ბაევი, გ. ა. ეუკოვი, ბ. ლ. ლეონტიევი, მ. დ. ოსიანინკოვა, ნ. მ. პოტაპოვი, ა. ვ. სოფრონოვი, მ. ა. სიგოლობოვი, ა. ი. სობოლევი და ი. ფ. შგპილევი.

ბიუროს განიხილა კავშირის მუშაობასთან დაკავშირებული მთელი რიგი საკითხები — წესდების პროექტი, კავშირის ბუნდოვანი ორგანოს პროფილი, საბჭოთა ჟურნალისტების კავშირის მონაწილეობა ჟურნალისტთა თემაგალ საერთაშორისო შეხვედრაში ჰელსინკში, რომელიც მიმდინარე წლის ივნისში მოეწყობა.

საბჭოთა პრესას სოციალისტური ინდუსტრიის, სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის, მეცნიერებისა და კულტურის აყვავებისათვის ბრძოლის ხანგრძლივი ტრადიციები აქვს. მას ბოლო უქირავს მასების ორგანიზატორისა და კომუნიზმის მშენებლობის პროპაგანდისტის დროშა, დაუცხრომლად იბრძვის ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობისათვის. ბევრი საბჭოთა ჟურნალისტს, კომუნიზმის მშენებლობისათვის, მთელ მსოფლიოში მშვიდობისათვის აქტიური მებრძოლის სახელი ფართოდ ცნობილია არა მარტო საბჭოთა ქვეყანაში, არამედ შორს მის საზღვრებს გარეთაც.

საბჭოთა ჟურნალისტების კავშირი, რომელიც ახლა იქმნება და რომელიც გაერთიანებს საბჭოთა პრესის მთელ შემოქმედებითს ძალებს — რედაქციების, გაზეთების, ჟურნალების, რადიოსა და გამომცემლობათა მუშაკებს, მოწოდებულია თვალსაჩინო როლი შეასრულოს სსრ კავშირში საგაზეთო-საჟურნალო და საგამომცემლო საქმის შემდგომ განვითარებაში. იგი ხელს შეუწყობს ჟურნალისტთა პროფესიული ოსტატობის ამაღლებას. მისი ამოცანა იქნება შეიმუშაოს წინადადებანი საგაზეთო-საჟურნალო ჟანრების სრულყოფის, პერიოდულ გამოცემათა და რადიოგადაცემათა შინაარსისა და ფორმის გაუმჯობესების შესახებ, ხელი შეუწყოს საბჭოთა პრესის ახალგაზრდა კადრების აღზრდას. კავშირმა დიდი როლი უნდა შეასრულოს უცხო ქვეყნების ჟურნალისტებთან საბჭოთა ჟურნალისტების საერთაშორისო ურთიერთობის გაფართოებაში, განვითარებასა და განმტკიცებაში. (საქდესი).

სიმინდის სრულიად საკავშირო ინსტიტუტში

 დნეპროპეტროვსკი, 5 აპრილი. (საქდესი). იმასთან დაკავშირებით, რომ სიმინდის ნათესები მასობრივად ვრცელდება ჩვენი ქვეყნის ახალ რაიონებში, მეცნიერთა წინაშე დაისახა ამოცანა — გამოიკვლიონ სიმინდის აღმოცენების თავისებურებანი ნიადაგისა და ჰავის სხვადასხვა პირობებში. ამ საკითხისადმი მიძღვნილია სიმინდის სრულიად საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს პირველი სხდომა, რომელიც აქ გაიმართა.

განხილულია ინსტიტუტის შემდეგი ახალი ზონალური დაწესებულებების თემატური გეგმები — ალმა-ატის, სტავროპოლის, პეტროვსკის (პენზის ოლქი), საქართველოს სახელმწიფო სასელექციო სადგურებისა და ვორონეჟის საცდელი სადგურისა. მათი კოლექტივები იმუშავებენ სიმინდის მოყვანის აგროტექნიკის შესწავლასა და გაუმჯობესებაზე, ახალი პერსპექტიული ჰიბრიდების გამოყვანაზე. გარდა ამისა, ისინი შეისწავლიან დაავადებათა და მავნებელთა წინააღმდეგ ბრძოლის უფრო სრულყოფილ ხერხებს, მინერალური და ბაქტერიული სასუქების გამოყენების ეფექტიანობას.

სირ-დარიის წყალი ჰიდრონაგებობის გზით დაიძრა

ყაზალინსკ-ყზილორდა (ყაზახეთის სსრ), 4 აპრილი. (საქდესი). დღეს დილის 5 საათზე ყაზალინსკ-ყზილორდა ჰესის ჰიდროკვანძში შეწყდა წყლის ამოტუმბვა ქვაბულიდან. დაშლილი და აღებულია ტუმბოები. სირ-დარიის წყალი, რომელიც ქვაბულში ეონავდა და აძნელებდა სამუშაოს, ახლა სასურველი სტუმარი გახდა.

ჰიდრომშენებლები კარგად მოემზადნენ წყლის შესახვედრად. გუშინ სახელმწიფო კომისიამ მიიღო ჰიდროკვანძის ნაგებობანი, რომლებიც წყლით უნდა დაიფაროს. ზემო ზღუდარის დაშლის საპატიო უფლება მიენიჭა უფროსი მემანქანის გრიგოლ ბაზარნოვის ეკიპაჟს. 13 საათსა და 30 წუთზე წყალმა დაფარა ქვაბული, გაიარა ჰიდრონაგებობის აგრეგატის ბლოკები და მიაღწია ქვემო ზღუდარს. 13 საათსა და 45 წუთზე სირ-დარია შეუერთდა ძველ კალაპოტს, დაფარა ქვაბული და გაიარა ჰიდრონაგებობაში.

ახლა მდინარე გაყოფილია ორ კალაპოტად — წყალი მიდის ლიმანში, რომელზეც აგებულია ტივტივა ხიდი, და ჰიდრონაგებობის ხელოვნურ რკინაბეტონის კალაპოტში.

ახლა უნდა გადაიხიდოს ლიმანი. მის მარჯვნივ და მარცხნივ შექმნილია ქვის და ბეტონის პირამიდების უდიდესი მარაგი. მომზადებულია ავტოთვითსაცლელები, ბულდოზერები, ექსკავატორები. სირ-დარიის იერიში გრძელდება.

...

ბიბლიოთეკა

მის უმაღლესობას მოჰამედ ღამინ ფაშას, ტუნისის გეის

ქალაქი ტუნისი

გთხოვთ, თქვენო უმაღლესობავ, მიიღოთ საბჭოთა ხალხისა და პირადად ჩემი გულითადი მოლოცვა ტუნისის დამოუკიდებლობის გამოცხადების გამო.

საბჭოთა კავშირის ხალხები ყოველგვარ წარმატებას უსურვებენ ტუნისელ ხალხს დამოუკიდებელი ტუნისის აყვავების საქმეში და იმედს გამოთქვამენ, რომ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და ტუნისს შორის მეგობრული ურთიერთობა განვითარდება.

კ. ვოროშილოვი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე

მის აღმატებულებას ბ-ნ გი მოლეს საფრანგეთის რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს

პარიზი

გთხოვთ, თქვენო აღმატებულებავ, მიიღოთ გულწრფელი მოლოცვა 1956 წლის 20 მარტს ტუნისის დამოუკიდებლობის შესახებ საფრანგეთ-ტუნისის ოქმის ხელმოწერის გამო.

საბჭოთა მთავრობა მიესალმება საფრანგეთის მთავრობის ამ აქტს, რომლის მიზანია ტუნისის პრობლემა მოწესრიგდეს საფრანგეთისა და ტუნისის ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობის სულისკვეთებით.

ნ. ბულგანინი
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე

...

ბიბლიოთეკა

ქარხანა ჩქაროსნული მეთოდებით შენდება

ვოროშილოვსკი. (ვოროშილოვგრადის ოლქი), 4 აპრილი. (საქდესი). წელს მთავრდება ვოროშილოვის სახელობის მეტალურგიული ქარხნის პირველი რიგის მშენებლობა. შენდება მეორე მძლავრი ბრძმედი, რომელიც გაზის გადადებული წნევით იმუშავებს და გამოუშვებს 1.800 ტონა თუჯს დღეღამეში, მეორე 500-ტონიანი მარტენის ღუმელი, საკოქსე ბატარიები და სხვა აგრეგატები.

მშენებლობა ჩქაროსნული მეთოდებით მიმდინარეობს. ტრესტ „ვოროშილოვსკსტროის“ კოლექტივმა ვალდებულება იკისრა ვადაზე ორი თვით ადრე გადასცეს საექსპლოატაციოდ ბრძმედი. აქ გამოიყენეს შრომის პროგრესული ორგანიზაცია—შეთავსებული გრაფიკი, რომლის დროს ბევრი სამშენებლო და სამონტაჟო სამუშაო პარალელურად სრულდება.

მემონტაჟეებმა უკვე დაამთავრეს ბრძმედის კორპუსის აგება.

...

ბიბლიოთეკა

ჩვენი ქვეყნის მინდვრებში

ჩვენს ქვეყანაში სულ უფრო ფართოდ ჩაღდება მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოები. ეს სამუშაოები ახლა მიმდინარეობს არა მარტო ჩვენი ქვეყნის სამხრეთ რაიონებში, არამედ მთელ რიგ სხვა რაიონებშიც.

როგორც ვლადივოსტოკიდან იუწყებიან, სამხრეთ ზღვისპირეთის მინდვრებში გამოვიდნენ პირველი სატრაქტორო აგრეგატები. მოლოტოვის რაიონის კოლმეურნეობებში უკვე დათესილია ათასამდე ჰექტარი ხორბალი, ქერი და შვრია. თესვა უპირატესად ჯვარედინი ხერხით მიმდინარეობს, ამავე დროს ნიადაგში შეაქვთ მცირე დოზით ორგანულ-მინერალური ნარევი.

ყაბარდოში თბილი მზიანი ამინდებია. რესპუბლიკის კოლმეურნეებს საშემოდგომო კულტურების ნათესებში შეაქვთ სასუქი. ფარცხავენ მზრალად ნახნავსა და ანეულს, აწარმოებენ თესვისწინა მორწყვას. მთავრდება მზადება სიმინდის თესვისათვის.

კრასნოიარსკის მხარის შუშეხსკოეს რაიონის კოლმეურნეებმა და მექანიზატორებმა დაიწყეს ანეულისა და უამრის თესვისწინა დამუშავება. საველე ბანაკებში თესვისათვის ამზადებენ თესლს. კოლმეურნეებისათვის, რომლებიც მინდვრად გავიდნენ, შექმნილია კარგი საყოფაცხოვრებო პირობები. ყველა საველე ბანაკში არის სასადილო, წითელი კუთხე, ბიბლიოთეკა, რადიო.

ჩერკასის ოლქის კოლმეურნეობების პირველ ათობით ათას ჰექტარ საშემოდგომო ნათესებში შეტანილია სასუქები. ნიადაგში სასუქების შესატანად ფართოდ იყენებენ ავიაციას. თვითმფრინავების დახმარებით დასახულია სასუქების შეტანა 50 ათას ჰექტარზე — რაც ერთნახევარჯერ აღემატება შარშანდელს. აქ მასობრივად გამოიყენებენ სასუქების შეტანის სხვა მოწინავე ხერხებსაც — მასაზრდოებელ ნივთიერებათა ჩადებას ბუდეებში სიმინდის თესვის დროს, კვლებში — შაქრის ჭარხლის თესვის დროს და სხვ. ოლქის მტს-ებში დამზადებულია ხრისტინოვკის რაიონის მექანიზატორთა კონსტრუქციის მცენარის მასაზრდოებელი 700-ზე მეტი კულტივატორი ჭარხლის პლანტაციებში თხევადი სასუქების შესატანად, კვადრატულ-ბუდობრივი სათესი მანქანების სამარჯვები ნიადაგში თესლთან ერთად სასუქების შესატანად და სხვა მექანიზმები.

კოლმეურნეებსა და მექანიზატორებს შორის ყველგან გაჩაღებულია სოციალისტური შეჯიბრება მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოთა თავის ოროზე და მაღალხარისხოვანი შესრულებისათვის. (საქდესი).

აგროტექნიკურ ვადებში ჩავატაროთ საგაზაფხულო სამუშაოები

★ ★ ★

კვადრატებს სიზუსტე უყვართ

— საგაზაფხულო თესვისათვის ყოველმხრივ მზად ვართ: ვადამდე შევაკეთეთ ყველა ტრაქტორი და მისაბმელი მანქანა, კონდიციამდე ავიყვანეთ სათესლე მასალა. მინდვრის სამუშაოთა დაწყებაში მხოლოდ უამინდობა გვიშლის ხელს, — გვითხრა თეთრი წყაროს მტს-ის დირექტორმა ი. არსენიშვილმა. დირექტორთან საუბარი არც კი გვქონდა დამთავრებული, როცა კაბინეტში სოფელ შიხილოს ვორონეშილოვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ს. ჯოჯიევი შემოვიდა.

— ამხანაგო დირექტორო, ნიადაგი შემშრალია, თესვა შეიძლება, 40 ჰექტარი კი დღემდე მოუხნავი გვაქვს. გთხოვთ დაგვეხმაროთ!

— არა, ამხანაგო, მე დასამტვრევი ტრაქტორები არა მაქვს! — ამ სიტყვებით გაისტუმრა დირექტორმა თესვის საკითხზე მტს-ში სპეციალურად ჩამოსული კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

მართალია, სოფელ შიხილომდე მისასვლელი გზები არასახარბიელია, კოლმეურნეობის ნაკვეთებიც ქვიანია, მიუხედავად ამისა მტს-ს თავისუფლად შეუძლია არტელს ტრაქტორით მოუხნას ორი ათეული ჰექტარი.

შიხილოს კოლმეურნეობის მაგალითი გამონაკლისი როდია.

მტს-ის ზონის ზოგიერთ კოლმეურნეობაში ხვნა-თესვისათვის ხელსაყრელი პირობები კარგა ხანია დადგა, მაგრამ მექანიზატორები არ ჩქარობენ.

გასულ წელს თეთრი წყაროს მტს-ის ზონის კოლმეურნეობებში სათოხნი კულტურების დაბალი მოსავალი მიიღეს. ამის ძირითადი მიზეზი ის იყო, რომ მტს-მა ვერ შეძლო ამ კულტურათა მექანიზებული წესით თესვა და დამუშავება. მექანიზატორებმა 664 ჰექტარის ნაცვლად კვადრატულ-ბუდობრივად დათესეს 284 ჰექტარი და ისიც უხარისხოდ, ვერ დაიცვეს ზუსტი კვადრატები. ამის გამო მტს-მა ვერ შეძლო ნათესების ორმხრივი კულტივაციის ჩატარება, ხოლო კოლმეურნეები ვერ აუვიდნენ დიდ ფართობზე სათოხნი კულტურების ხელით დამუშავებას.

როგორც ცნობილია, კვადრატულ-ბუდობრივად სათეს ყოველ მანქანაზე თესვის დროს საჭიროა 7-8 დამხმარე კოლმეურნე. ისინი კარგად უნდა იყვნენ დაუფლებული ამ პროგრესულ წესს. აქ რატომღაც მტს-ში მოწყობილი სპეციალური სემინარი თვითეული კოლმეურნეობიდან მარტო ორ-ორმა კაცმა გაიარა. უფრო მეტიც. დაბა თეთრი წყაროს ბუდიონის სახელობის კოლმეურნეობიდან, სადაც წელს დიდი რაოდენობით უნდა დათესოს სათოხნი კულტურები, სემინარზე არც ერთი კოლმეურნე არ გაუგზავნიათ.

სემინარია და სხვა სათოხნი კულტურების კვადრატულ-ბუდობრივი თესვა შარშან ვერც ასურეთის მტს-მა მოაწყო. მოსალოდნელი იყო, რომ მტს-ი ხელსაყრელად გამოიყენებდა ზამთარს მთესავების, კონტროლიორების, საზოგადო მავთულების გადამტანების მოსამზადებლად, მაგრამ ასე არ მოხდა. მტს-ის მთავარმა ინჟინერმა დარჯანიამ მხოლოდ რამდენიმე კოლმეურნეობის წევრებს თეორიულად გააცნო კვადრატულ-ბუდობრივი წესით თესვა, პრაქტიკული მეცადინეობა კი არ მოუწყვია.

ამკარაა, რომ თეთრი წყაროს და ასურეთის მტს-ები, რომლებიც სათანადოდ ვერ იყენებენ დროის ფაქტორს, ვერ შეძლებენ შეასრულონ პარტიის ახალი დავალებანი მოსავლიანობის ამაღლების დარგში, თუ სასწრაფოდ არ აღმოფხვრეს მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოთა საქმეში არსებული სერიოზული ნაკლოვანებანი.

რ. დავითური,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲫᲐᲚᲘᲗ ᲒᲐᲩᲐᲦᲓᲐ

სტალინირი. (საკ. კორ.). რაიონში ყოველთვის მოწინავეებად ასახელებენ აჩაბეთელ მეჭარხლეებს. შარმან სოფელ აჩაბეთის კოლმეურნეობა „გამარჯვებამ“ 20 ჰექტარი ნათესის თვითეულ ჰექტარზე გეგმით გათვალისწინებული 245 ცენტნერის ნაცვლად საშუალოდ 364 ცენტნერი შაქრის ჭარხალი მიიღო. მეჭარხლეობის მოწინავე ბრიგადამ, რომელსაც გამოცდილი კოლმეურნე ლ. რაზმაძე ხელმძღვანელობს, უფრო მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია — ჰექტარზე 400 ცენტნერი მოსავალი მოიყვანა.

ამ დღეებში უჩვეულო გამოცოცხლებაა აჩაბეთელ კოლმეურნეებს შორის. ისინი გულდასმით გაეცნენ უკრაინელ მეჭარხლეთა მიმართვას მიმდინარე წელს შაქრის ჭარხლის უხვი მოსავლის მოყვანისათვის სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღების შესახებ.

მიმართვა კოლმეურნეებს გააცნო კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ა. მკრტჩიანმა. მან განაცხადა:

— პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებით სოფლის მეურნეობის წინაშე უდიდესი ამოცანებია დასახული. უკრაინელ მეჭარხლეთა მიმართვა გამოხატავს კოლმეურნე გლეხობის პატრიოტულ მისწრაფებას მოკლე დროში განახორციელოს პარტიის XX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებები.

აჩაბეთის კოლმეურნეობა წელს შაქრის ჭარხალს 22 ჰექტარზე დათესავს. საამაყოდ ნიადაგი მთლიანად მოხნულია. აჩაბეთელმა მეჭარხლეებმა ვალდებულება იკისრეს ჰექტარზე 400 ცენტნერი შაქრის ჭარხალი მოიყვანონ.

შაქრის ჭარხლის თესვისათვის აჩაბეთის კოლმეურნეობა ყოველმხრივ მოემზადა. ამთავითვე საფუძველი ეყრება მიმდინარე წლის უხვ მოსავალს.

ᲛᲪᲘᲠᲔ ᲛᲝᲡᲐᲕᲐᲚᲘ ᲛᲘᲘᲦᲔᲡ, ᲪᲣᲓᲐᲓ ᲔᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲐᲜ

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებით აღფრთოვანებულმა ახალშენმა კოლმეურნეებმა ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი მცხეთის რაიონის სოფელ წილკნის ხრუშჩოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრების მიმართვას 1956 წელს სიმინდის უხვი მოსავლის მოსაყვანად სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღებას შესახებ. აბაშელებმა იკისრეს წელს 9.400 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანონ 20 ცენტნერი სიმინდი.

ნაკისრი ვალდებულებათა შესრულებისათვის ბეჯითად შრომობენ სოფელ ნორიოს სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრები. აქ შარშანდელთან შედარებით წელს სიმინდის ნათეს ფართობს 100 ჰექტარით გაადიდებენ და იგი 950 ჰექტარს დაიკავებს. უკვე აითვისეს 155 ჰექტარი ყამირი და ნასვენი მიწა. ჩქარი ტემპით მიმდინარეობს თესვისათვის ნიადაგის მომზადება. საკმაო რაოდენობით მოიმარაგეს სიმინდისა და სხვა კულტურების თესლი.

თესვისათვის კარგად ემზადებიან სოფელ სამიქაოს მახარაძის სახელობის, სუჯუნის ორჯონიკიძის სახელობის, ონტოფოს სტალინის სახელობის, ქოლობნის ხრუშჩოვის სახელობის და სამიქაოს ცხაკაიას სახელობის კოლმეურნეობებში.

მაგრამ ყველგან ასეთი მდგომარეობა როდია. სოფელ კვათანის ლენინის სახელობის, პირველი მაისის ლენინის სახელობის და მარნის ბულგანინის სახელობის კოლმეურნეობები აჭიანურებენ ნიადაგის მოხვნას სიმინდის დასათესად.

სოფელ ზანათის კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობა ჩამორჩენილი კოლმეურნეობაა. გასულ წელს საშუალოდ ჰექტარზე მიიღეს მხოლოდ 5,82 ცენტნერი სიმინდი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 18 ცენტნერისა. დიდია სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების თვითღირებულება. მაგალითად, 1 ცენტნერი სიმინდის წარმოებაზე დახარჯეს 14,3 შრომადღე, 1 ცენტნერ ხორცზე — 77, ხოლო ცენტნერი რძის წარმოებაზე — 8 შრომადღე. ეს მაშინ, როცა მეზობელი სოფლის — სუჯუნის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში შარშან 3-ჯერ მეტი სიმინდი მოიყვანეს და ერთი ცენტნერი სიმინდის წარმოებაზე 4,6 შრომადღე დახარჯეს.

ამ კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე დ. ჩოჩია) შეუწყნარებლად ნელი ტემპით მიმდინარეობს თესვისათვის მზადება, გვიანდება ხვნა, მუშა პირუტყვი სრული დატვირთვით არ არის გამოყენებული. მაგალითად, 21 მარტს პირველი ბრიგადის კოლმეურნე ვ. ჭონია მთელ დღეს დადიოდა ფერმის გამგის საძებნელად, რათა ხარების საკვები ჩალა მიეღო. ყველა შრომისუნარიანი კოლმეურნე აქტიურად არ მონაწილეობს საკოლმეურნეო შრომაში. ამითაც აიხსნება, რომ კოლმეურნეობაში ხვნა გაჭიანურეს.

აზაშ ძირითადად მარცვლეულის მწარმოებელი რაიონია. დასავლეთ საქართველოს რაიონებში გავრცელებულია აქაური სიმინდი — „აბაშური ყვითელი“, რომელიც მაღალმოსავლიანია. უკანასკნელი წლების მანძილზე რაიონში უხეშად არღვევდნენ სიმინდის მოყვანის აგროტექნიკას, რის შედეგად მცირე მოსავალს იღებდნენ. 1952 წელს რაიონში საშუალოდ ჰექტარზე მიიღეს 6,77 ცენტნერი სიმინდი, 1953 წელს — 8,6, 1954 წელს — 6,8, ხოლო 1955 წელს — 7,3 ცენტნერი. გეგმა კი 19 ცენტნერის მიღებას ითვალისწინებდა.

აბაშელებმა სიმინდს უნდა აღუდგინონ თავისი ყოფილი სახელი და გადაჭრით გააუმჯობესონ მისი მოყვანის აგროტექნიკა. უწინარეს ყოვლისა საჭიროა მაღალ აგროტექნიკურ დონეზე მოეწყოს სიმინდის თესვა. ადგილობრივმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა ყველა საჭირო დასკვნები უნდა გააკეთონ გასული წლების მწარე გაკვეთილებიდან და უზრუნველყონ სიმინდის მოსავლიანობის გადიდება.

ვ. კოპალეიშვილი,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

ᲓᲐᲗᲔᲡᲘᲚᲘᲐ ᲡᲘᲛᲘᲜᲓᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲰᲔᲥᲢᲐᲠᲔᲑᲘ

ზუგდიდი. (ტელეფონით საკ. კორ.). 5 აპრილს სოფელ ნარაზენის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ დაიწყო სიმინდის თესვა. ამ სამუშაოს ორგანიზებულად შეუდგნენ მეოთხე და მერვე ბრიგადები, რომლებსაც ტ. ჯანჯღავა და ც. თოდუა ხელმძღვანელობენ. ორივე ბრიგადამ პირველ დღეს დათესა 2 ჰექტარზე მეტი სიმინდი.

თესვისათვის ნიადაგის მომზადებაზე ნაყოფიერად მუშაობენ ზუგდიდის მტს-ის მექანიზატორები გ. ბერიშვილი და რ. ცაავა. ნარაზენელი კოლმეურნეები წელს დათესავენ 220 ჰექტარ სიმინდს, აქედან კვადრატულ-ბუდობრივად — 150 ჰექტარს. აქ თესვის წინ 80 ჰექტარზე შეიტანეს ნაკელი.

ნარაზენელები ჩაებნენ საპირველმაისო სოციალისტურ შეჯიბრებაში და გალდებულება იკისრეს 1 მაისამდე დაამთავრონ საგაზაფხულო კულტურების თესვა, სანამუშოდ მოუპარონ ნათესებს და მოიყვანონ სიმინდის უხვი მოსავალი.

სიმინდის თესვას შეუდგა სოფელ ორსანტიის გეგეჭკორის სახელობის კოლმეურნეობა. დაწინაურდნენ პირველი, მეექვსე და მეთერთმეტე ბრიგადები. მეთერთმეტე ბრიგადამ (ბრიგადირი ა. ქვარაია) უკვე დათესა 4 ჰექტარი სიმინდი.

რაიონში სიმინდის თესვა მალე მასობრივად გაჩაღდება.

ᲣᲮᲕᲘ ᲛᲝᲡᲐᲕᲚᲘᲡ ᲝᲡᲢᲯᲐᲯᲘ

ბებეთკორი. (საკ. კორ.). სოფელ აბედათის კოლმეურნეობა „შრომის სამეფოს“ წევრმა ე. ბარათელმა შარშან ერთ ჰექტარზე მიიღო 80 ცენტნერი სიმინდი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 45 ცენტნერისა. წელს განზრახული აქვს შარშანდელზე გაცილებით მეტი მოიყვანოს. ამისათვის აქედანვე ემზადება. ნაკვეთი უკვე მოხნული და დაფარცხული აქვს, შეაქვს ორგანული სასუქი.

ᲘᲜᲓᲝᲩᲘᲜᲔᲗᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲥᲕᲔᲕᲘᲡ ᲗᲐᲗᲑᲘᲠᲘᲡ ᲝᲠᲘ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲘᲡ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲐᲠᲥᲘᲕᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲘᲒᲘᲢᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

როგორც ცნობილია, 1956 წლის 18 თებერვალს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტრომ მოსკოვში დიდი ბრიტანეთის საელჩოს გაუგზავნა ნოტა, რომლითაც საბჭოთა მთავრობამ აცნობა, რომ იზიარებს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობათა აზრს, რომ მიზანშეწონილია მოწვეულ იქნას ახალი თათბირი ვიეტნამში ეენევის შეთანხმებათა განხორციელების ღონისძიებათა საკითხის განსახილველად. ამ ნოტის შინაარსი საბჭოთა პრესაში გამოქვეყნდა 1956 წლის 6 მარტს.

იმასთან დაკავშირებით, რომ დიდი ბრიტანეთისა და ინდოეთის მთავრობებმა მხარი დაუჭირეს იმას, რომ მანამდე, სანამ გადაიდგმებოდეს საბოლოო ნაბიჯები აღნიშნული თათბირის მოსაწვევად, მოხდეს ინდოჩინეთის შესახებ ეენევის თათბირის ორი თავმჯდომარის შეხვედრა, რომლებიც არიან სსრ კავშირისა და დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმე ია მინისტრები, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტრომ 1956 წლის 30 მარტს დიდი ბრიტანეთის საელჩოს მოსკოვში გაუგზავნა შემდეგი ნოტა.

„სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტრო უდასტურებს თავის პატივისცემას დიდი ბრიტანეთის საელჩოს და მის 1956 წლის 9 მარტის № 141 ნოტასთან დაკავშირებით პატივი აქვს აცნობოს შემდეგი.

საბჭოთა მთავრობა თავის ამა წლის 18 თებერვლის ნოტაში აღნიშნავდა, რომ ვიეტნამში ეენევის შეთანხმებათა შესრულების მდგომარეობა კვლავ არადამაკმაყოფილებელია. სამხრეთ ვიეტნამის ხელისუფალნი საბობტაჟს უწევენ საერთაშორისო კომისიის კონტროლით საყოველთაო თავისუფალი დემოკრატიული არჩევნების გზით ვიეტნამის ეროვნული გაერთიანების ამოცანას, რაც, როგორც ცნობილია, ეენევის შეთანხმების ძირითადი დებულებაა იმ ნაწილში, რომელიც ეხება ვიეტნამში პოლიტიკურ მოწესრიგებას. ამასთან დაკავშირებით ისინი თავს არიდებენ არჩევნებისათვის მზადების შესახებ კონსულტაციების მოწყობას, რომლებიც გათვალისწინებულია ეენევის შეთანხმებებით, და უგულებელყოფენ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ყველა წინადადებას, რომელთა მიზანია ეენევის შეთანხმებათა ამ დებულების შესრულება. სამხრეთ ვიეტნამის ხელისუფალნი აშკარად არღვევენ აგრეთვე ვიეტნამის შესახებ ეენევის შეთანხმებათა სამხედრო მუხლებს. კერძოდ, როგორც ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ამა წლის 14 თებერვლის ნოტაშია აღნიშნული, სამხრეთ ვიეტნამში შეაქვთ ახალი შეიარაღება და საომარი მასალები და შეაყავთ უცხოელი სამხედრო პერსონალი, ქმნიან უცხოეთის სამხედრო ბაზებს, ცდილობენ სამხრეთი ვიეტნამი შეიყვანონ სამხედრო ბლოკში. სამხრეთ ვიეტნამში აგრეთვე ირღვევა ეენევის შეთანხმებათა ის მუხლები, რომლებიც ეხება დემოკრატიულ უფლებებსა და თავისუფლებებს. სისტემატურ რეპრესიებს მიმართავენ იმ პირთა წინააღმდეგ, რომლებიც მონაწილეობას იღებენ ვიეტნამის ეროვნული გაერთიანებისათვის მოძრაობაში, არღვევენ სიტყვისა და პრესის თავისუფლებას.

როგორც ცნობილია, ვიეტნამში მეთვალყურეობისა და კონტროლის საერთაშორისო კომისიის მოხსენებებში არაერთგზის ყოფილა გამოთქმული სერიოზული შეშფოთება ეენევის შეთანხმებათა განხორციელების შესახებ იმ პოზიციის გამო, რომელიც სამხრეთ ვიეტნამის ხელისუფალთ უკავიათ. სამხრეთ ვიეტნამის ხელისუფალნი ცდილობენ დაამტკიცონ, თითქოს ისინი ვალდებული არ არიან პატივი სცენ ეენევის შეთანხმებებს, რამდენადაც მათ ხელი არ მოუწერიათ ამ შეთანხმებებზე და თავი არ მიიჩნიათ საფრანგეთის მემკვიდრეებად აღნიშნული შეთანხმებებით მის ვალდებულებათა მიმართ. ამ მოსაზრებათა უსაფუძვლობა დამაჯერებლად იყო ნაჩვენები ინდოეთის მთავრობის 1956 წლის 21 თებერვლის წერილში, რომელიც ეენევის თათბირის ორ თავმჯდომარეს გაეგზავნა. როგორც ინდოეთის მთავრობა სამართლიანად აღნიშნავს თავის წერილში, სამხრეთ ვიეტნამის ხელისუფალნი „სარგებლობენ ეენევის შეთანხმების სიკეთით და იმ მფარველობით, რომელსაც იძლევიან შეთანხმებანი ცეცხლის შეწყვეტის შესახებ, აგრეთვე სამეთვალყურეო საერთაშორისო კომისიის მუშაობა“, და ამავე დროს უარს ამბობენ შეასრულონ შეთანხმების დებულებანი თავისუფალი არჩევნების მოწყობის გზით ვიეტნამის გაერთიანების შესახებ.

სამხრეთ ვიეტნამის ხელისუფალთა მტკიცების უსაფუძვლობა გამომდინარეობს აგრეთვე ვიეტნამში საომარი მოქმედების შეწყვეტის შესახებ შეთანხმების 27-ე მუხლის დებულებებიდან, რომელიც აწესებს, რომ როგორც საფრანგეთის მთავრობა, რომელმაც ხელი მოაწერა აღნიშნულ შეთანხმებას, ისე ის ხელისუფალნი, რომლებიც შეიძლება იქნენ მისი ფუნქციების მემკვიდრეები ვიეტნამში, ვალდებული არიან უზრუნველყონ ეენევის შეთანხმებათა მუხლების დაცვა. ამას შეიძლება დავძინოთ, რომ მხოლოდ ეენევის თათბირისა და ეენევის იმ შეთანხმებათა შედეგად, რომლებმაც ვიეტნამის დამოუკიდებლობა გამოაცხადეს, აგრეთვე ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკისა და საფრანგეთის მიერ აღნიშნულ შეთანხმებათა შესაბამისი მუხლების შესრულების შედეგად, სამხრეთ ვიეტნამის ხელისუფალთ მიეცათ შესაძლებლობა მიმქმედნ საფრანგეთის კავშირის ჯარების გადაჯგუფების დროებით ზონაში.

ახლანდელი საშიში მდგომარეობა სამხრეთ ვიეტნამში, რა თქმა უნდა, არ წარმოიშობოდა, რომ არ იყოს ჩარევა ცნობილი სახელმწიფოს მხრივ, რომელიც მონაწილეობდა ეენევის თათბირში, თუმცა ხელი არ მოუწერია ეენევის შეთანხმებისათვის ვიეტნამის შესახებ, მაგრამ იესარა ვალდებულება არა მარტო თავი შეიკავოს ეენევის შეთანხმებათა დარღვევისგან, არამედ ზემოაღნიშნულ შეთანხმებათა ყოველგვარი დარღვევა კიდეც განიხილოს როგორც ისეთი, რომელიც სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროებისათვის. აშკარად უჭირენ მხარს სამხრეთ ვიეტნამის ხელისუფალთა მოქმედებას, რომლის მიზანია ჩაშალოს სამხრეთ ვიეტნამის საყოველთაო არჩევნები 1956 წლის ივლისში, შეაქვთ იარაღი და ეწევიან სამხედრო კადრების მომზადებას ეგრეთწოდებული „ლაშქრობისათვის ჩრდილოეთისაკენ“, რათა ინდოჩინეთში გაანაღონ ახალი ომი, ეწევიან სამხრეთ ვიეტნამის ხელისუფალთა ისეთი ღონისძიებების წაახალისებას, რომლებიც მიმართულია ვიეტნამის გათიშვისაკენ, როგორიც არის დამფუძნებელი კრების სეპარატული არჩევნები, რაც სამხრეთ ვიეტნამის ხელისუფლებმა მარტში მოაწყეს, და სხვ.

ჯერ კიდევ 1955 წელს, ეენევის თათბირის ორი თავმჯდომარის ნოემბრის შეხვედრის შედეგად, მიღწეულ იქნა სრული თანხმობა, რომ ვიეტნამში ეენევის შეთანხმებათა ზოგიერთი დებულების შესრულება დამაკმაყოფილებელი არ არის და სწორედ ამ საფუძველზე 1955 წლის 21 დეკემბერს აღნიშნული ქვეყნების მთავრობებს გაეგზავნათ ორი თავმჯდომარის ერთობლივი წერილი.

საბჭოთა მთავრობას კვლავ მიაჩნია, რომ ეენევის შეთანხმებანი, რომლებმაც ბოლო მოუღეს მაჩანალი წლის სისხლისმღვრელ ომს ინდოჩინეთში, მთლიანად უნდა შესრულდეს. საბჭოთა მთავრობა განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ეენევის შეთანხმების ისეთი პრინციპული დებულების შესრულებას, რომელიც არის ვიეტნამში საერთაშორისო კომისიის კონტროლით საყოველთაო თავისუფალი დემოკრატიული არჩევნების გზით ვიეტნამის ეროვნული ერთიანობის აღდგენა. საბჭოთა მთავრობის აზრით, ეენევის თათბირის მონაწილე ყველა სახელმწიფომ თავის მოვალეობად უნდა მიიჩნიოს ყოველი ღონისძიებით შეუწყოს ხელი ინდოჩინეთის ჰრობლემის მოწესრიგებას ხალხთა მისწრაფების შესაბამისად და მშვიდობის ინტერესებისათვის.

იმის გამო, რომ საჭიროა მიღებულ იქნას საუწრაფო ღონისძიებანი, რათა თავიდან აცილებულ იქნას ვიეტნამის შესახებ ეენევის შეთანხმებათა შესაძლებელი ჩაშლა, რაც მძიმე შედეგებს შეიცავს მშვიდობისათვის ამ რაიონში, საბჭოთა მთავრობა მხარს უჭერს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობათა წინადადებას, რომ მოწვეულ იქნას ახალი თათბირი ვიეტნამის შესახებ ინდოჩინეთის საკითხთა ეენევის თათბირის საერთაშორისო კომისიების წევრი ქვეყნების შემადგენლობით. ასეთი თათბირის მოწვევა, საბჭოთა მთავრობის აზრით, ვიეტნამში მდგომარეობის მოწესრიგების ყველაზე მიზანშეწონილი და ქმედითი საშუალება იქნებოდა.

მაგრამ, ითვალისწინებს რა დიდი ბრიტანეთის მთავრობის თვალსაზრისს, აგრეთვე ინდოეთის მთავრობის წინადადებას, რომელსაც მისი 21 თებერვლის ნოტა შეიცავს, საბჭოთა მთავრობა წინააღმდეგი არ არის, რომ ინდოჩინეთის შესახებ ეენევის თათბირის თავმჯდომარეებმა წინასწარ განიხილონ ვიეტნამში ეენევის შეთანხმებათა შესრულების უზრუნველყოფის შესაძლო ღონისძიებათა საკითხი, აგრეთვე ახალი თათბირის მოწვევის საკითხი. მხედველობაში აქვს რა, რომ ეს ხელს შეუწყობს ხსენებული თათბირის მოწვევის შესახებ შეთანხმების უფრო მალე მიღწევას.

საბჭოთა მთავრობას მიაჩნია, რომ ასეთი შეხვედრა შეიძლებოდა მოწყობილიყო ლონდონში უახლეს დღეებშივე, რადგანდაც ამ საკითხის განხილვის ყოველგვარი გადადება აძნელებს ეენევის შეთანხმებათა შესრულებას. ამასთან საბჭოთა მთავრობა ანგარიშს უწევს აგრეთვე ინდოეთის მთავრობის სურვილს, რომ ვიეტნამში მდგომარეობის შემდგომი გართულების გამო იმასთან დაკავშირებით, რომ საფრანგეთის მთავრობა ამირებს შეიცვალოს პოზიცია ეენევის შეთანხმებათა მიმართ, ორი თავმჯდომარის შეხვედრა შექმნილი ჩიხის თავიდან აცილებისათვის რაც შეიძლება მალე მოხდეს. იღებს რა მხედველობაში დიდი ბრიტანეთის მთავრობის წინადადებას, რომელიც ელჩმა სერ უ. ჰეიტერმა ვ. მ. მოლოტოვთან საუბარში გამოთქვა 9 მარტს, საბჭოთა მთავრობა რწმუნებას აძლევს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველ მოადგილეს ა. ა. გრომიკოს მონაწილეობა მიიღოს ზემოაღნიშნული საკითხების განხილვაში სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის, როგორც ინდოჩინეთის შესახებ ეენევის თათბირის ერთერთი თავმჯდომარის სახელით.

სამინისტრო საელჩოს მადლობელი იქნებოდა ამ საკითხზე დიდი ბრიტანეთის მთავრობის აზრის შეტყობინებისათვის“.

დიდი ბრიტანეთის მთავრობის პასუხი ჯერ მიღებული არ არის.

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐ ᲖᲕᲐᲕᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲓᲐᲖᲐᲠᲐᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲚᲑᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲘᲡᲐᲓᲛᲘ

ტირანა, 4 აპრილი. (საკდესი). სსრ კავშირის წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებათა კავშირის აღმასრულებელმა კომიტეტმა ალბანეთის წითელი ჯვრის განკარგულებაში გამოჰყო 40 ათასი მანეთი ზღვებისაგან დაზარალებული ალბანეთის მოსახლეობისათვის დახმარების გასაწევად.

ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის წითელი ჯვრის პრეზიდიუმმა მხურვალე მადლობა გადუხადა სსრ კავშირის წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებათა კავშირის აღმასრულებელ კომიტეტს ამ დახმარებისათვის.

აღზრდის თემაზე

უკეთ დავეხმაროთ სკოლას

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა უდიდეს ყურადღებას აქცევენ ჩვენი ქვეყნის მომავლის — ახალგაზრდობის კომუნისტურ აღზრდას.

ახალგაზრდობის აღზრდის კეთილშობილური ამოცანა დავალებული აქვს საბჭოთა სკოლას. ამ ფრიად მნიშვნელოვანი და პასუხსაგები ამოცანის ღირსეულად გადაჭრაში დიდი წვლილი შეაქვთ მშობლებს, ოჯახს.

მშობლები ოჯახში ბავშვებისადმი ყოველდღიურ მზრუნველობასა და ყურადღებას იჩენენ და ამასთან ერთად ეხმარებიან პედაგოგებს ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში. ეს დახმარება უმთავრესად ხორციელდება სკოლებში მშობელთა კომიტეტების მეშვეობით.

თბილისის 23-ე საშუალო სკოლის მშობელთა კომიტეტი სკოლის ყველა კლასის მშობელთა წარმომადგენლებს აერთიანებს. კომიტეტს ჰყავს თავისი პრეზიდიუმი, რომელიც ხელმძღვანელობს მშობელთა კომიტეტის საქმიანობას. პრეზიდიუმი იკრიბება კვირაში ერთხელ და მუშაობს წინასწარ შედგენილი გეგმით, რომელსაც მშობელთა კომიტეტი ამტკიცებს.

მშობელთა კომიტეტი იკრიბება თვეში ერთხელ ან ორჯერ, საჭიროებისამებრ. კომიტეტის სხდომ ებზე მტკიცდება სამუშაო გეგმა. ყოველი მეოთხედის ბოლოს კომიტეტი ისმენს მოხსენებებს სკოლაში მასწავლეთა წარმატებისა და დისციპლინის მდგომარეობის, გაკვეთილების უმიზეზოდ გაცდენის აღმოფხვრის, სანიტარულ-ჰიგიენური პირობების სათანადოდ დაყენების და მრავალ სხვა საკითხზე.

გარდა ამისა, წელიწადში ორჯერ ვიწვევთ მშობელთა საერთო კრებას, რომელიც ისმენს სკოლის დირექტორის მოხსენებ ას მოსწავლეთა აკადემიური წარმატებისა და დისციპლინის შესახებ, აგრეთვე მშობელთა კომიტეტის მუშაობის ანგარიშს. ამასთან კრებაზე იკითხება ლექციები და მოხსენებები მოსწავლეთა აღზრდის, ჯანმრთელობის დაცვისა და სხვა საკითხებზე. მაგალითად, მშობლებმა დიდი ინტერესით მოისმინეს მოხსენებები: „ოჯახის როლი მოსწავლეთა აღზრდის საქმეში“ (მომხსენებელი დოც. ა. ავალიშვილი), „მოსწავლეთა პირადი ჰიგიენა“ (მომხსენებელი სკოლის ექიმი ლ. ანანიაშვილი), „ქუჩაში მოძრაობის წესები“ (მომხსენებელი ქალაქის მილიციის თანამშრომელი ამხ. შუბლაძე) და სხვ.

მშობელთა კომიტეტის მთელი საქმიანობა ძირითადად მიმართულია იქითკენ, რომ დაეხმაროს სკოლის დირექციას მოსწავლეთა შეგნებული დისციპლინის განმტკიცებისა და დაცვის საქმეში. ამ მიზნით შემოღებულია მშობელთა სისტემატური მორიგეობა როგორც სკოლის შენობაში, ისე ეზოში. ყველა სპექტაკლს, რომლებიც ჩვენი სკოლის მოსწავლეთათვის იმართება, აუცილებლად ესწრება მშობელთა კომიტეტის წარმომადგენელი.

მშობელთა კომიტეტი სკოლის ადმინისტრაციას ეხმარება სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელებაშიც. სკოლაში გაიმართა დიდი რუსი მწერლის ნ. გოგოლის, დიდი ქართველი მწერლის ი. ჭავჭავაძის საღამოები, შეხვედრა დამსახურებულ მასწავლებელ ს. აბვლედიანთან. ყველა ამ ღონისძიების განხორციელებაში მონაწილ ეობ დ ა მშობელთა კომიტეტი. მოსწავლეთათვის მოეწყო ექსკურსიები ყაზბეგში, ჩარგალში, საკურამოში, თელავში, წინანდალში, ვარძიაში, ყვარელში. ამ საქმეშიც თავისი წვლილი შეიტანა მშობელთა კომიტეტმა. ყველა ექსკურსიას ესწრებოდა მშობელთა წარმომადგენელი. ტრანსპორტით ექსკურსიებზ უზრუნველყვეს თვით მშობლებმა.

მშობელთა კომიტეტი დიდ დახმარებას უწევს სკოლას საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის განხორციელებაში, ავლინებს სასკოლო ასაკის ბავშვებს და მიმართავს დირექციას მათი სკოლაში ჩაბმისათვის.

პარტიის XX ყრილობამ ერთერთ დიდმნიშვნელოვან ამოცანად დასახა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში პოლიტექნიკურ ი სწავლების განვითარება. ამ ამოცანის განხორციელებაში მონაწილეობს მშობელთა კომიტეტიც, რომელიც ეხმარება სკოლას საწარმოებსა და კოლმეურნეობებში ექსკურსიების მოწყობაში.

ჩვენი საქმიანობის ძირითად ნაკლად უნდა ჩაითვალოს ის, რომ ვერ შევძელით ყველა მოსწავლის მშობლის დაკავშირება სკოლასთან. აღსანიშნავია, რომ დისციპლინას ირღვევენ და სწავლაში ჩამორჩებიან უმთავრესად ის ბავშვები, რომელთა მშობლებიც სკოლასთან არ არიან დაკავშირებული. ზოგიერთი ასეთი მშობლის საკითხს განვიხილავთ კომიტეტის სხდომაზე და ამის შესახებ ვაცნობებთ იმ საწარმო-დაწესებულებების ხელმძღვანელებს, სადაც ეს მშობლები მუშაობენ.

უნდა ითქვას, რომ მშობელთა კომიტეტში უფრო აქტიურად მუშაობენ და მუდმივი კავშირი აქვთ სკოლასთან დაბალი კლასის მოსწავლეთა მშობ

წარმოების ნოვატორების შეხვედრა მოსწავლეებთან

ტყიბული

სტალინის სახელობის შახტის მუშათა კლუბში მოეწყო სახელგანთქმული სამთოელის, უბნის უფროსის, ნოვატორ შ. შოთაძის შეხვედრა ამავე შახტის საშუალო სკოლის მოსწავლეებთან.

ნოვატორ შ. შოთაძის უბრალო, საქმიანი სიტყვები მოსწავლეებმა გულდასმით მოისმინეს. შ. შოთაძე ვრცლად შეჩერდა თავისი მუშაობის მეთოდზე, მოსწავლეებს ესაუბრა შახტის, ცალკეული უბნების წარმატებებზე, ყურადღება გაამახვილა იმ ამოცანებზე, რაც დასახულია ქვანახშირის მრეწველობის წინაშე მეექვსე ხუთწლედში.

— ჩემი რჩევაა, — თქვა ნოვატორმა, — სკოლის დამთავრების შემდეგ მოხვიდეთ ჩვენთან სამუშაოდ. 29 წელია ვმუშაობ შახტში. ამ ხნის განმავლობაში ვინ იცის რამდენი ქვანახშირი გავუგზავნე რესპუბლიკის მრეწველობას! უბრალო რიგითი მეშახტიდან გავიზარდე უბნის უფროსამდე. ჩემი ცხოვრების მაგალითებს ერთეული შემთხვევა რადია. ასეთი მაგალითების მოყვანა მრავლად შეიძლება. ასე იზრდებიან ადამიანები ჩვენს შახტში. პარტიის XX ყრილობამ მეშახტეთა წინაშე ახალი, გრანდიოზული პერსპექტივები დასახა. საგმირო საქმეები, შრომითი დიდება გელოდებათ თქვენ, ახალგაზრდა მეგობრებო, ჩვენს მშობლიურ შახტებში!

სკოლის მოსწავლეებმა დ. დარსაძემ, ლ. ნანიკაშვილმა, ტ. კობახიძემ და ლ. ცქიფურაშვილმა მოწონაც სამთოელს შ. შოთაძეს მიულოცეს ენერგიული შრომით მოპოვებული წარმატებანი, უსურვეს ახალი მიღწევები და გამოთქვეს სურვილი — საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ წავიდნენ შახტებში, ქარხნებში, ფაბრიკებში, კოლმეურნეობებში სამუშაოდ.

შეხვედრის დამთავრების შემდეგ მოსწავლეთა თვითმოქმედი ძალებით გაიმართა კონცერტი. (საკ. კორ.).

ბიათურა

კარგი თაოსნობა გამოიჩინა ქალაქის მესამე საშუალო სკოლის კომკავშირულმა ორგანიზაციამ, როცა ამას წინათ მოაწყო მეთერთმეტეკლასელთა შეხვედრა მარგანეცის მრეწველობის ნოვატორებთან. შეხვედრა მიეძღვნა თემას — სიმწიფის ატესტატით წარმოებაში.

მოხსენება თემაზე — სიმწიფის ატესტატით წარმოებაში — წაიკითხა მეთერთმეტეკლასელმა ო. სარალიძემ. მან განაცხადა, რომ კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა მამობრივად ზრუნავენ მოსწავლე ახალგაზრდობაზე. ამ-ს მკაფიო გამოხატულება იგრძნობა პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებშიც. მოსწავლეთა წმინდა მოვალეობაა ყოველმხრივ დაეუფლონ მეცნიერებათა საფუძვლებს, სიმწიფის ატესტატით წავიდნენ წარმოებაში და თავდადებული შრომით ასახელონ სამშობლო.

შეკრებაზე სიტყვებით გამოვიდნენ წარმოების ნოვატორები პ. მიროტაძე, ლითონის ჩქაროსნული ჭრის ინიციატორი ჭიათურაში ი. კაპანაძე, ნოვატორი მბურღავი გ. თოდაძე და სხვ. ნოვატორებმა მოსწავლეებს დაწვრილებით ეუოთხრეს თავიანთ შრომითს საქმიანობაზე, აღნიშნეს, თუ რა მისცა მათ პატიოსანმა შრომამ, და მოუწოდეს მათ საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სამუშაოდ წავიდნენ წარმოებაში.

შეკრებაზე პატრიოტული სიტყვები წარმოთქვეს მოსწავლეებმა ვ. ლაშხმა, ც. ჯაოშვილმა, ს. გონგლაძემ, ზ. ხვედელიძემ. მათ სურვილი გამოთქვეს, რომ საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სამუშაოდ წავიდნენ წარმოებაში, იმუშაონ ენერგიულად და დაუსწრებლად მიიღონ უმაღლესი განათლება.

დასასრულ მოსწავლეებმა სტუმრებს უჩვენეს თავიანთი მხატვრული თვითმოქმედება.

(საკ. კორ.).

რაიონული გაზეთის მუშაობის პრაქტიკიდან

მეზი შემოქმედება, ორგანიზაციული მუშაობის მაღალი დონე

გაზეთის თვითეული ნომრის გამოშვებისათვის გაზეთ „სოციალისტური შრომის“ რედაქციის მთელი კოლექტივის გულმოდგინე შემოქმედებითი მუშაობის განუყოფელი ნაწილია ორგანიზაციულ-მასობრივი საქმიანობა.

ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის სწორად დაყენება რედაქციის გარშემო ავტორთა ფართო აქტივის შემოკრების საწინდარია. შეგნებული გვაქვს რა ეს უდავო ჭეშმარიტება, ჩვენ ფართოდ ვიყენებთ მასობრივი მუშაობის მრავალ ფორმასა და ხერხს. მუშსოფლკორთა რაიონულ და ზონალურ თათბირებს უდავოდ დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ უფრო მეტი სარგებლობა მოაქვს კორესპონდენტებთან ინდივიდუალურ მუშაობას. ჩვენი რედაქციის განყოფილებათა გამგეები უკავშირდებიან კორესპონდენტებს წერილობით, ტელეფონით, ადგილზე მისვლით, აწყობენ მათთან ჯგუფურ საუბრებს, აძლევენ კონკრეტულ დავალებებს და პრაქტიკულად ეხმარებიან, როგორ და რა თემაზე წერონ. მუშაობის ასე მოწყობით რედაქციამ ბევრი ახალი ავტორი შეიძინა. მათ შორის არიან კოლმეურნეები ტ. ჩხარტიშვილი, ე. გუჯაბიძე, ლ. კომახიძე, შ. დარჩია, მ. მშვიდობაძე, ჯ. კოშმარიშვილი, ე. ქანთარია, კოლმეურნეობის თავმჯდომარეები ნ. ღლონტი, ქ. ურუშაძე, ქ. მანწყავა, ა. ლომაძე, დ. მიქაბრიძე, პარტორგანიზაციების მდივნები გ. გოგუაძე, კ. კუნჭულია, შ. როყვა, ი. კაკაძე და ბევრი სხვა. გაზეთში აქტიურად თანამშრომლობენ სოფლის მეურნეობის სპეციალისტები — აგრონომები ვ. მშვიდობაძე, ე. ქავთარაძე, ვეტერინარები ა. იმნაძე, ვ. ჯიბლაძე, ნ. ურუშაძე.

მასობრივი მუშაობის ერთ-ერთი საუკეთესო ფორმაა რედიტორს მოწყობა. ჩვენი გაზეთის სარედო ბრიგადებში უმთავრესად მონაწილეობენ სოფლის მეურნეობის სპეციალისტები, სასოფლო საბჭოების დეპუტატები და ძირეული პრესის მუშაკები.

ახლა ჩვენი რედაქციის აღრიცხვაზეა 245 მუშსოფლკორი. შარშან რედაქციამ მიიღო 1.629 წერილი, კორესპონდენცია და შენიშვნა, რომელთაგან 1.360 დაიბეჭდა გაზეთის ფურცლებზე.

ავტორთა აქტივთან კავშირის შემდგომი განმტკიცება და რედაქციაში შემოსული კორესპონდენციებისა და შენიშვნების ზრდა საშუალებას გვაძლევს რაც შეიძლება შემოქმედებითად ვიმუშაოთ გაზეთზე, დადგენილი გრაფიკით და მაღალხარისხოვნად გამოვუშვათ თვითეული ნომერი.

ყოველთვიურად ვადგენთ რედაქციის სამუშაო გეგმას, რომელსაც სარედაქციო თათბირზე განხილვის შემდეგ ამტკიცებს პარტიის რაიონული კომიტეტი. საერთო გეგმის საფუძველზე რედაქციის განყოფილებათა გამგეები და სხვა ლიტერატურული თანამშრომლები ადგენენ თავიანთ სამუშაო გეგმა-მონახაზებს, წინასწარ ეთათბირებიან პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო და კომკავშირული ორგანიზაციების ხელმძღვანელ მუშაკებს, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს, მექანიზატორებს და აქტუალურ თემებზე ადგენენ გეგმებს გაზეთის ცალკეული ნომრებისათვის.

ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის გაუმჯობესებამ ხელი შეგვიწყო სოფლად პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის, მოწინავე გამოცდილების, რაიონის სამეურნეო და კულტურული ცხოვრების ფართოდ გაშუქებაში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიულმა გადაწყვეტილებებმა დიდი შრომითი წარმატებებისათვის აღფრთოვანებულ რაიონის მშრომელები. ისინი ახალი ძალით აჩაღებენ სოციალისტურ შეჯიბრებას მეექვსე ხუთწლედის პირველი წლის დავალებათა გადაჭარბებით შესრულებისათვის.

ყრილობის გადაწყვეტილებათა პრაპაგანდისა და განხორციელებისათვის ჩვენი გაზეთი გარკვეულ ორგანიზაციულ მუშაობას ეწევა. გაზეთი სათავეში ჩაუდგა სოციალისტურ შეჯიბრებას, რომელიც ჩოჩხათის მარქსის სახელობის კოლმეურნეობამ წამოიწყო. რედაქციამ საკითხი პარტიის რაიკომის ბიუროს განსახილველად შეიტანა. რაიკომმა მოიწონა ჩოჩხათელთა ინიციატივა და მოუწოდა კოლმეურნეობათა გამგეობებსა და პარტორგანიზაციებს მხარი დაუჭირონ ამ თაოსნობას. ამ საკითხზე გაზეთმა დაბეჭდა მოწინავე სტატია. კოლმეურნეობები ფართოდ ეხმაურებიან ჩოჩხათელთა გამოწვევას და გადდებულ სოციალისტურ ვალდებულებებს კისრულობენ.

გაზეთის ინიციატივით სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაებნენ სამტრედიის რაიონის დაბლა გომისა და ლანჩხუთის რაიონის ქვემო აჯეთის კოლმეურნეობები. ამის თაობაზე სამტრედიის და ჩვენი რაიონის გაზეთებმა მოათავსეს შემცველი გვერდები. სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაებნენ მახარაძის რაიონის სოფელ ბაღდადისა და ლანჩხუთის რაიონის სოფელ ახალსოფლის მეაბრეშუმეობის ის რგოლები, რომლებსაც საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები ნადია ბერძენიშვილი და ლოლა კომახიძე ხელმძღვანელობენ.

ჩვენი გაზეთის ორი გვერდი დაეთმო სოფელ მამათის კოლმეურნეობის სამეურნეო შედეგებისა და ახალი ამოცანების გაშუქებას საერთო სათაურით „პერსპექტიული გეგმა მოქმედებაში“. ამ გვერდებში მოთავსებული მასალები მოუთხრობენ კოლმეურნეობებს, თუ როგორ გაზარდა მამათის კოლმეურნეობამ სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა და საზოგადოებრივი მეცხოველეობის პროდუქტიულობა.

რედაქციამ მოიწვია სოფლის კორესპონდენტთა ზონალური თათბირები. ავტორთა აქტივის ფართო მონაწილეობით მიმდინარე წელს ორჯერ მოეწყო რვიდები. განზრახული გვაქვს უახლოეს ხანში მოვაწყოთ მკითხველთა კონფერენციები, თვეში ერთხელ ჩავატაროთ რეიდი სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მიმდინარეობის შესამოწმებლად. განზრახული გვაქვს აგრეთვე კოლმეურნეობებში მოვაწყოთ გამსვლელი რედაქცია.

მაგრამ მუშაობაში ჯერ კიდევ ბევრი ნაკლი გვაქვს. არის შემთხვევები, როცა ნომერი ნაუცბადევად კეთდება, მასალებს ლიტერატურული დამუშავება აკლია. გაზეთში საკმაო არ არის ილუსტრაციები, განსაკუთრებით რაიონის ცხოვრებიდან. მართალია საკდესის პრესკლუბისაგან საკმაო რაოდენობით მოგვდის სურათები, მაგრამ ბევრი მათგანი გამოუყენებელი რჩება. რაიონში არა გვყავს მხატვრები, რომ კარიკატურები და სხვა ილუსტრაცია დაგვიმზადონ. კარგი იქნება, რომ საკდესთან ან რომელიმე რეს-პუბლიკური გაზეთის რედაქციასთან შეიქმნებოდეს ფოტოკორესპონდენტთა და მხატვართა ჯგუფები, რომლებიც მიიღებდნენ რაიონული გაზეთების შეკვეთებს.

ჩვენს გაზეთს არც პოლიგრაფიული ბაზა უვარგა. საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მომარაგების სამმართველოს სრულიად არ აინტერესებს, თუ რა ესაჭიროება სტამბას.

მ. ბარამიძე,
ლანჩხუთის რაიონული გაზეთის „სოციალისტური შრომის“ რედაქტორი.

ჩაის პლანტაციების დასამუშავებელი ახალი მანქანები

მახარაძე. (საკ. კორ.). მახარაძის მტს-მა ამ დღეებში მიიღო ჩაის პლანტაციების დასამუშავებელი „ჩუგ-1,6“ სისტემის გაუმჯობესებული თვითმავალი მანქანები.

ეს მანქანები უნივერსალურია — სხლავს ბუჩქებს, რიგთა შორის ატარებს კულტივაციას, შეაქვს სასუქები.

თვითეული სახის სამუშაოს შესრულების დროს მანქანა საშუალოდ დღეში ცვლის 40-მდე მუშას.

ქალაქ ფოთში

უფროგვლდება ტექნიკური აღჭურვილობა

ფოთის გემთშემკეთებელ სახელოსნოში საზღვაო გლისერების გამოშვება დაიწყო მეხუთე ხუთწლედის პირველ წლებში. შავი და აზოვის ზღვების საკურორტო ნავსადგურები ყოველწლიურად იღებენ ფოთელ გემთშემკეთებლთა მიერ დამზადებულ გლისერებს. წელს სახელოსნო ბევრად გაადიდებს მათს გამოშვებას. ამის პარალელურად გაიზრდება ამწე-სატრანსპორტო მოწყობილობის და საცურავ საშუალებათა ხარემონტო სამუშაოების მოცულობა. ამისათვის სახელოსნო აღიჭურვება ახალი ტექნიკით. დაიდგმება ლითონსაჭრელი ინსტრუმენტების სალესავი და სახმლოდ დასამუშავებელი ჩარხი, შეიქმნება ელექტროლუმელი ლითონის თერმული დამუშავებისათვის, სპეციალური აპარატი ჩამოსხმული ლითონის გასაწმენდად, საჭარხნო ტიპის ელექტროსარემონტო საამქრო, ლაბორატორია და სხვ.

ზღვისპირის მშვენება

ასე ეძახიან ციტრუსების საბჭოთა მეურნეობას, რომელიც ქალაქის ცენტრიდან სამოოდე კილომეტრის დაშორებით 300 ჰექტარზეა გაშენებული. ყოფილი ნაჟამბარი ადგილი ახლა ციტრუსოვანი, ტექნიკური, ბალჩა-ბოსტნეული ულტურების ბაღნარად იქცა. წელს საბჭოთა მეურნეობა სახელმწიფოს ჩაბარებს ნახევარ მილიონ ცალ ლიმონს, 25 ცენტნერ ხურმას, 5 ცენტნერ ფეიხოიას, 270 ცენტნერ ბალჩეულსა და ბოსტნეულს. დაფნას გააშენებენ 30 ჰექტარზე.

შეფუების დასამარეგით

ქალაქის მსხვილი საწარმოები თავიანთ საშეფო სკოლებს ეხმარებიან პოლიტექნიკური სწავლების დანერგვაში. ბევრ საშუალო სკოლაში მოწყობილია საზეინკლო, სადურგლო სახელოსნოები, სასოფალო-სადღელი ნაკვეთები. მესამე საშუალო სკოლასთან შექმნილია ავტომანქანის შემსწავლელი ჯგუფი. მეორე საშუალო სკოლის მოსწავლეები ამზადებენ მრავალფეროვან ტექნიკურ მოდელებს. ფიზიკის შემსწავლელი წრის წევრებმა დაამზადეს ელექტრომავლის, მიწისმწოვი მანქანის, ქარის ელექტროსადგურის, სამგზავრო გემის, წისქვილუმბინატის და სხვა მოქმედი მოდელები.

პიონერთა სახლში

ფოთის პიონერთა სახლში შექმნილია დრამატული, ძერწვის, ქანდაკების, კინომექანიკოსთა, ლიტერატურული და სხვა წრეები. დრამატულმა წრემ მოამზადა და ქალაქის მოზარდ მაყურებელს უჩვენა სახავშო პიესა „თეთრა“. ძერწვისა და ქანდაკების წრემ მოაწყო ნორჩ ხელოვანთა ნამუშევრების გამოფენა. მოწონება დაიმსახურეს მძერწავების ლ. პოპოვის, ა. კუპრაძის, თ. ბუტენკოს და სხვათა ქანდაკებებმა: „პუშკინი საქართველოში“, „გმირი პიონერი პავლიკ მოროზოვი“ და სხვ. მრავალი საინტერესო ლონისძიება გაიმართა საგაზაფხულო არდადეგების დღეებში.

კ. კოპახიძე.

კურორტ კვერეთის კეთილმოწყობა

საჩხერე. (საკ. კორ.). საჩხერიდან შვიდ კილომეტრზე მდებარეობს მაღაროელთა დასასვენებელი ადგილი — კვერეთი. კურორტი ცნობილია საუკეთესო ჰაერითა და მინერალური წყლით. აქ შარშან ჭიათურელ მაღაროელებთან ერთად ასობით მოსკოველმა, ლენინგრადელმა, ურალელმა და დონბასელმა მუშამ და მრსამსახურემ დაისვენა.

წელს კვერეთში აშენდება ახალი სასადილო-პავილიონი, საბაზანო, საზაფხულო კინოთეატრი და სხვ., კურორტი განსაკუთრებით კეთილმოწყობილი გახდება ახალ ხუთწლედში. დამატებით აშენდება დასასვენებელი სახლის ორსართულიანი კორპუსი, მოასფალტდება გზა საჩხერიდან კურორტამდე. მეექვსე ხუთწლედში კურორტის კეთილმოწყობაზე შვიდი მილიონი მანეთი დაიხარჯება.

გიორგი თევდორეს-ძე სტურუა

ბიოგრაფიული ნარკვევი

ა. წ. 1 აპრილს უეცრად გარდაიცვალა ძველი რევოლუციონერი, სკკპ წევრი 1901 წლიდან ამხანაგი გიორგი თევდორეს-ძე სტურუა.



ამხ. გ. თ. სტურუას მთელი შეგნებული ცხოვრება კომუნისტური პარტიის საქმისა და სოციალისტური სამშობლოსადმი თავდადებული სამსახურის მაგალითია.

ამხ. გ. თ. სტურუა დაიბადა 1884 წელს ქუთაისის გუბერნიის ქუთაისის მაზრის სოფელ კულაშში, გლეხის ოჯახში.

1903-დან 1914 წლამდე ამხ. გ. თ. სტურუა ეწეოდა არალეგალურ პარტიულ მუშაობას, უმთავრესად არალეგალურ პარტიულ სტამბებში (ბაკო, მოსკოვი), აგრეთვე როგორც პარტიული ორგანიზატორი. აქტიურად მონაწილეობდა მოსკოვის 1905 წლის დეკემბრის შეიარაღებულ აჯანყებაში, იარაღით ხელში იბრძოდა კრასნაია პრესნიას ბარიკადებზე.

აქტიური რევოლუციური მოღვაწეობისათვის ამხ. გ. თ. სტურუა მეფის მთავრობას არაერთხელ დაუპატიმრებია და გადაუსახლებია. 1916 წლის დამლევს იგი გადასახლებიდან გამოიქცა და ჩავიდა ქ. ბაკოში, სადაც არალეგალურ პარტიულ მუშაობას ეწეოდა. 1917 წლის ივნვარში ამხ. გ. თ. სტურუა კვლავ დაუპატიმრეს როგორც ბაკოს გაფიცვის ორგანიზატორი და ხელმძღვანელი და გადაასახლეს ციმბირში, ნარიმის მხარეში. 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ ამხ. სტურუა აქტიურ მონაწილეობას იღებს ბაკოს კომუნის საქმიანობაში, ხოლო მისი დაცემის შემდეგ მიდის კავკაზში, სადაც მუშაობს საგანგებო კომისიაში.

1918, 1919, 1920 წლებში ამხ. სტურუა არალეგალურ პარტიულ მუშაობას ეწევა, აქტიურ მონაწილეობას იღებს საქართველოში მენშევიკური დიქტატურის წინააღმდეგ აჯანყების მომზადებასა და ჩატარებაში. იგი იყო წევრი რკპ(ბ) არალეგალური კავკასიის სამხარეო კომიტეტისა, რომლის დავალებით ხელმძღვანელობდა ბოლშევიკურ აჯანყებას დასავლეთ საქართველოში (1919 წ.). 1920 წელს საქართველოს მენშევიკურმა მთავრობამ ორჯერ დააპატიმრა ამხ. სტურუა და გაამწესა ბაკოთან აზერბაიჯანში, სადაც იგი მუშაობდა აზერბაიჯანის კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილების გამგედ, ხოლო შემდეგ ცენტრალური კომიტეტის მდივნად.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ამხ. გ. თ. სტურუა ხელმძღვანელ პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირულ სამუშაოზეა. იგი არის საქართველოს სსრ სურსათის სახალხო კომისრის მოადგილე, საქართველოს კპ(ბ) თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანი, პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანი, საქართველოს კპ(ბ) ცენტრალური საკონტროლო კომისიის პარტკოლეგიის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისარი, საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარე, საქართველოს ცენტრალური საკონტროლო კომისიის — მუშგლეხინის თავმჯდომარე, ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარი, საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე. უკანასკნელ ხანს ამხ. სტურუა მუშაობდა ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალის დირექტორად.

საბჭოთა სახელმწიფოსა და კომუნისტური პარტიის წინაშე დამსახურებისათვის ამხ. სტურუა დაჯილდოებული იყო ლენინის ორი ორდენით, სამამულო ომის I ხარისხის ორდენით, შრომის წითელი დროშის ორდენით და მედლებით.

მთელ თავის სიცოცხლეში ამხ. გ. თ. სტურუა იყო მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების მგზნებარე პროპაგანდისტი, თანმიმდევრულად ახორციელებდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პოლიტიკას.

კომუნისტური პარტიის ერთგული შვილის — ამხანაგ გიორგი თევდორეს-ძე სტურუას ნათელი ხსოვნა სამუდამოდ დარჩება ყველას გულში, ვინც მას იცნობდა.

ამხანაგების ჯგუფი.

ახალგაზრდა ექიმმა იშვიათი ოპერაცია გააკეთა

გურჯაანი. (საკ. კორ.). გურჯაანის რაიონულ საავადმყოფოში მესანე წელია, რაც ქირურგად მუშაობს ახალგაზრდა ექიმი ე. მუყერაძე. ამ ხნის მანძილზე მან რაიონის მოსახლეობაში სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა, კვალიფიციური მკურნალობითა და მზრუნველი დამოკიდებულებით ბევრი ავადმყოფი გადარჩინა.

ამასწინათ საავადმყოფოში მიიყვანეს მოქალაქე მ. მესტიაშვილი, რომელსაც გულმკერდის მარცხენა მხარეს მიყენებული ჭრილობა ჰქონდა. ექიმმა ეჭვი მიიტანა, რომ ფილტვი ზიანდებოდა. ექიმ ე. მუყერაძემ, გულის ქირურგმა ე. ბუკურაძემ, გულის მარცხენა პარკუჭში აღმოჩნდა ჭრილობა, საიდანაც დიდი რაოდენობით მოდიოდა სისხლი. ქირურგმა გულს ოთხკანმოვანი ნაკერი დაადო.

ავადმყოფი მ. მესტიაშვილი განიკურნა და საავადმყოფოდან გაეწერა. იგი ამჟამად ჯანმრთელად გრძნობს თავს, სულ მალე სამუშაოს დაუბრუნდება.

ეს გაკეთდება მეექვსე ხუთწლედში

ადგილობრივი რესურსებისა და ნედლეულის გამოყენების გზით

ჩვენი დიადი პარტიის XX ყრილობამ თავის დირექტივებში სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ ადგილობრივი მრეწველობისა და სარეწაო კოოპერაციის მუშაკთა წინაშე უაღრესად პასუხსაგები ამოცანები დასახა. ამ ამოცანათა მთავარი აზრი ის არის, რომ ყველა ღონისძიებით გავაფართოოთ ადგილობრივი რესურსების გამოყენება, განვავითაროთ ნედლეულის საკუთარი, ადგილობრივი ბაზა და უზრუნველვყოთ საუკეთესო ნიმუშება ბიხედვით გაკეთებული ფართო მოხმარების საქონლის ასორტიმენტის გამოშვების ზრდა დაახლოებით 1,6-ჯერ, ამასთან გადაჭრით გავაუმჯობესოთ პროდუქციის ხარისხი, მისი გარეგნობა და შევამციროთ თვითღირებულება.

ამ ამოცანების შესასრულებლად საჭიროა ადგილობრივი მრეწველობის საწარმოები შეკაიარაღოთ ახალი ტექნიკით, დავნერგოთ გაუმჯობესებული ტექნოლოგია, შეგქმნათ ყველა პირობა შრომის ნაყოფიერების განუხრელი ზრდისათვის.

პირველი ღონისძიება, რომლის განხორციელებაც საქართველოს ადგილობრივი მრეწველობის მუშაკებს გზა გაუკაფავს ახალი წარმატებებისაკენ, არის მათს მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრა. ნაკლოვანებები კი ბევრი გვაქვს.

საქართველოს კომუნისტური პარტიის XVII ყრილობაზე ვრცლად აღინიშნა ეს ნაკლოვანებანი. უნდა ითქვას, რომ ჯერ კიდევ ვერ შევძელით უზრუნველვყოფ ყველა რაიონული და საქალაქო სამრეწველო კომბინატის მიერ საწარმოო გეგმების ყველა მაჩვენებლის მიხედვით შესრულება. ვერ მოვახერხეთ პროდუქციის ხარისხის ჯეროვნად გაუმჯობესება, ადგილობრივი რესურსების გამოვლინება და გამოვლინებული რესურსების რაციონალური გამოყენების მოწესრიგება, ვერ აღკვეთეთ ადგილობრივი მრეწველობის საწარმოებში გაფლანგვის, სახელმწიფო ქონების დატაცება-განიავების შემთხვევები.

მართალია, წინა წლებთან შედარებით ადგილობრივი მრეწველობის საწარმოები წელს უკეთ მუშაობენ, წინსვლა შესამჩნევია, მაგრამ საკმარისი როდია. ადგილობრივი მრეწველობის საწარმოთა კოლექტივებს, მათს ხელმძღვანელ სამეურნეო, პარტიულ, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს ეს არ აძლევს იმის უფლებას, რომ თვითკმაყოფილებას მიეცნენ.

დღემდე არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა გვქონდა კაპიტალური ჭშენებლობის დარგში. მაგალითად, რაიონული მრეწველობის საწარმოებმა შარშან კაპიტალდაბანდებათა თანხები ძალიან ცოტა 71 პროცენტით აითვისეს. ეს აიხსნება ერთი მხრივ ადგილობრივი რესურსების სუსტი მობილიზაციით და მეორე მხრივ სამინისტროს მიერ არასაკმაო ხელმძღვანელობის გაწევით. ამის შედეგი იყო ცემენტით, საარმატურო რკინით და სახურავი მასალებით საწარმოთა მომარაგების შეფერხება.

საქართველოს ადგილობრივი მრეწველობის საწარმოები ყოველწლიურად აითვისებენ 30-მდე სახელმწიფოების ფართო მოხმარების საგნებს. ეს ცუდი არ არის, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ ახლადათვისებულ საქონელს ჩვენი საწარმოები მეტად განსაზღვრული რაოდენობით უშვებენ. უმჯობესია საქმისე მოვაწყოთ, რომ ავითვისოთ ახალი პროდუქციის გამოშვება, თუმცა არა ძალ დიდი რაოდენობით, მაგრამ სამაგეროდ ეს ახალი პროდუქცია მასობრივად დავამზადოთ, რათა მისი გამოშვება ბაზარს დაეტყოს. რესპუბლიკის ადგილობრივი მრეწველობის საწარმოები ახლა მცირე რაოდენობით როდი უშვებენ ავეჯს, პიანინოებს, როიალებს, მოთუთიებულ და მინანქრიან ჭურჭელს, კვეთულს, აბრეშუმისა და ხახვრადაბრეშუმის ქსოვილებს, ტრიკოტაჟს და ა. შ. გასულ წელს გამოშვებული იქნა 29.983 ათასი მანეთის ავეჯი, ანუ 216 პროცენტით მეტი, ვიდრე 1950 წელს, მაგრამ საქონლის მთელი ეს მასა ბაზარს არ დასტყობია. მაშასადამე, საჭიროა კიდევ უფრო მეტი საქონელი, თანამედროვე გემოვნების შესაბამისად ნაკეთები ნაწარმი, საჭიროა ამ ნაწარმის მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა.

პარტიის XX ყრილობის დირექტივებში ადგილობრივი მრეწველობის განვითარების შესახებ აღნიშნულია: „განხორციელდეს ღონისძიებანი საწარმოთა ხელახალი ტექნიკური შეიარაღებისათვის, მასობრივი მასშტაბებით იმ სახელმწიფო სტანდარტული და ტექნიკური პირობების დანერგვისათვის, რომლებიც უზრუნველყოფენ საუკეთესო ნიმუშების პროდუქციის გამოშვებას“.

ჩვენი საწარმოების ტექნიკური აღჭურვილობის ჩამორჩენილობა, რასაც ბოლო პოეღება მეექვსე ხუთწლედში, დიდ სრძნელეებს გვიქმნიდა შემდგომი აღმავლობისათვის ბრძოლაში. მაგალითად, საავეჯო ფაბრიკებთან ჯერაც მოწყობილი არა გვაქვს მერქნის საშრობი განყოფილებები და ზოგჯერ გვიხდება ისეთი მასალის გამოყენება, რომელიც სათანადოდ არ არის გამოშრალი. ცხადია ასეთი მასალისაგან გაკეთებული ავეჯი, რა მოდელიც უნდა ავიღოთ, კარგი ხარისხისა არ იქნება.

ავეჯის ხარისხის გასაუმჯობესებლად საჭიროა მოსაპირკეთებელ სამუშაოთა მექანიზაცია. ამ მხრივაც რესპუბლიკის ადგილობრივი მრეწველობაში დიდი ჩამორჩენა გვაქვს. გარდა იმისა, რომ საავსებით მშრალი მასალისაგან უნდა კეთდებოდეს, ავეჯს ამასთან უნდა ჰქონდეს მაღალხარისხოვნად გაკრიალებული ზედაპირი. ჩვენ კი არ მოგვეპოვება სახეხავი და გამკრიალებელი მექანიზმები, ამ საქმეს ხელით, პრიმიტიული წესით ვასრულებთ. რასაკვირველია, ხელით გაკრიალებული ავეჯი, გარდა იმისა, რომ ძვირი ჯდება, ხარისხითაც ისეთი არ გამოდის, როგორც მანქანით დამუშავებული. ერთადერთი საწარმო, სადაც დანერგილია მერქნის გახეხვისა და გაკრიალების მექანიზაცია, არის თბილისის მუსიკალური ინსტრუმენტების და ავეჯის კომბინატი, რომლის პროდუქცია მოსახლეობაში პოპულარულია.

მეექვსე ხუთწლედში ჩვენი საწარმოების ტექნიკურ ჩამორჩენილობას ბოლო მოეღება და ყოველივე დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ როგორ გაართმევენ თავს ადგილობრივი მრეწველობის მუშაკები საწარმოებში შრომის სწორი ორგანიზაციის, მოწინავე გამოცდილების ფართოდ დანერგვის, ტექნიკური პროგრესისათვის ბრძოლის საქმეს, უზრუნველყოფენ თუ არა ყველა პირობის შექმნას შრომის ნაყოფიერების შემდგომი განუხრელი ზრდისათვის, შეძლებენ თუ არა კაპიტალდაბანდებათა თანხების წარმატებით ათვისებას და გარდაქმნიან თუ არა თავიანთ მუშაობას პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესრულების უზრუნველსაყოფად.

კაპიტალდაბანდებანი კი საქართველოს ადგილობრივ მრეწველობაში დიდია. უნდა აშენდეს არა ერთი და ორი დიდი ახალი საწარმო, ბევრი მათგანი მიმდინარე ხუთწლედში ამუშავდება.

მაგალითად, გადაწყვეტილია მეექვსე ხუთწლედში თბილისში შევუდგეთ კლავიშიანი მუსიკალური ინსტრუმენტების დიდი ფაბრიკის მშენებლობას, რაც ხარჯთაღრიცხვით 10 მილიონამდე მანეთი დაგვიჯდება. ეს ფაბრიკა, რომლის მშენებლობა 1958 წელს უნდა დავიწყოთ, გამოუშვებს უმთავრესად პიანინოებსა და როიალებს.

მეექვსე ხუთწლედში გადაწყვეტილია თბილისში ავაშენოთ სოფლის მაცივრების ქარხანა. მაცივრებზე როგორც ცნობილია, რესპუბლიკის ქალაქებში, ხოლო ბოლო დროს სოფლებშიც, დიდი მოთხოვნილებაა. შორი მანძილიდან მაცივრების ისეთი რაოდენობით მოზიდვა, რომ მთელი მოთხოვნილება დავაკმაყოფილოთ, დიდ დროს და ხარჯს მოითხოვს. ამიტომ გათვალისწინებულია მაცივრების სპეციალური ქარხნის აგება ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქში. ქარხანა ყოველწლიურად 50.000 ცალ უახლესი ტიპის საოჯახო მაცივარს გამოუშვებს.

თბილისში აგებულ იქნება აგრეთვე თეატლაჩინო სასწავლო ხელსაწყოების ფაბრიკა, რომელიც ამასთან გამოუშვებს რვიულებს, სახაზავებს და ა. შ., სულ 14 მილიონი მანეთის პროდუქციას ყოველწლიურად. ამ ფაბრიკის მშენებლობას უნდა შევუდგეთ მომავალ წელს, ხოლო მისი ამუშავება უნდა მოხდეს 1959 წელს.

თბილისი გამდიდრდება კიდევ ერთი დიდი ფაბრიკით, ბავშვებისათვის საყვარელი სათამაშოების დიდი საწარმოთი, რომელიც ყოველწლიურად გამოუშვებს 15 მილიონი მანეთის სხვადასხვა სახეობის სათამაშოს. შრომითი პროცესები აქ მექანიზებული იქნება, ფაბრიკასთან ჩამოყალიბდება სპეციალური საკონსტრუქტორო განყოფილება. ამ ფაბრიკის ამუშავება გათვალისწინებულია 1961 წლიდან.

მეექვსე ხუთწლედში განხორციელდება ადგილობრივი მრეწველობის სისტემის მანქანათმშენებელი და ლითონდასამუშავებელი ქარხნების ცენტრალიზებული მომარაგება ლითონსხმულით. ამ მიზნით თბილისში გადაწყვეტილია აშენდეს და მეექვსე ხუთწლედის ბოლოს

გაიხსნა მშვიდობის მსოფლიო საბჭოს საგანგებო სესია

სტოკჰოლმი, 5 აპრილი. (საკდესი). დღეს სტოკჰოლმში ვინტერპალატიცეტის შენობაში გაიხსნა მშვიდობის მსოფლიო საბჭოს საგანგებო სესია.

სესიის მუშაობა მთლიანად მიძღვნილია განიარაღებისა და ატომური იარაღის აკრძალვის საკითხისადმი.

სესიაზე ჩამოვიდნენ დელეგაციები და ცალკეული პირები 30-ზე მეტი ქვეყნიდან, მათ შორის მშვიდობის მსოფლიო საბჭოს წევრები, სხვადასხვა ქვეყნის თვალსაჩინო პოლიტიკური მოღვაწეები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეები, პარლამენტთა დეპუტატები, საერთაშორისო ორგანიზაციების, რელიგიური ორგანიზაციების წარმომადგენლები, მშვიდობის მომხრეთა ეროვნული მოძრაობის მონაწილეები, პაციფისტური, ქალთა, ახალგაზრდათა ორგანიზაციების წარმომადგენლები.

სესიას თავმჯდომარეობს მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ვიცე-თავმჯდომარე დოქტორი ს. კიტჩლუ (ინდოეთი).

სესიის მონაწილეთ მისასალმებელი სიტყვით მიმართა შვეიცის თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწემ „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო სტალინური პრემიის ლაურეატმა ჭ-ნმა ანდრეა ანდრეენმა.

შემდეგ გამოვიდა სესიის თავმჯდომარე დოქტორი ს. კიტჩლუ. მან მადლობა გადაუხადა სესიის მონაწილეთ პატივისათვის, რომელიც მას დასდეს, — იყოს ამ სესიის თავმჯდომარე.

ს. კიტჩლუს წინადადებით სესიის მონაწილეებმა პატივი სცეს ახლახან გარდაცვლილი თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწის ირენ ჟოლიო-კიურის ხსოვნას.

დოქტორმა ს. კიტჩლუმ, ხაზგასმით აღნიშნა რა სესიის დიდი მნიშვნელობა, თქვა, რომ სესიის მონაწილეთ სურთ აზრთა გაზიარება, რათა დასახონ ღონისძიებანი განსახილველი საკითხის შესახებ. სესია, თქვა მან, გამონახავს იმის გზას, რომ მშვიდობის მთელმა ძალებმა ნამდვილად ითანამშრომლონ, რათა საერთაშორისო ღონისძიებათა კოორდინაციისა და გაერთიანების გზით მიაღწიონ გამალებული შეიარაღების შეწყვეტას.

თავმჯდომარემ სიტყვა მისცა ჯ. ენდიკოტს (კანადა), რომელმაც შესავალი სიტყვა წარმოთქვა განიარაღებისა და ატომური იარაღის აკრძალვის საკითხზე.

სტოკჰოლმი, 6 აპრილი. (საკდესი). მშვიდობის მსოფლიო საბჭოს გუშინდელ საღამოს სხდომას თავმჯდომარეობდა ჭ-ნი ა. ანდრეენი (შვეიცარია).

სხდომაზე პირველი გამოვიდა დოქტორი სოდნეი ჰიოტონი (ინგლისი), რომელმაც განაცხადა, რომ მთელი მსოფლიოს მეცნიერებმა უნდა ამხილონ ატომური ომის აპოლოგეტები. მშვიდობისა და უშიშროების გზაა, თქვა მან, განიარაღება, რომელიც საკანონმდებლო მიღწეულ იქნას შეთანხმებულ თანმიმდევრულ ღონისძიებათა განხორციელებით.

ჭ-ნმა არნოლდმა (გერმანიის ფედერალური რესპუბლიკა) თავის სიტყვაში ილაპარაკა განიარაღებისა და გერმანიის გაერთიანების პრობლემებზე.

ბირმინჰამის უნივერსიტეტის ინგლისელმა მეატომე ფიზიკოსმა ჯ. ფრემლინმა თავისი სიტყვა მიუძღვნა განიარაღებისა და ატომური იარაღის აკრძალვისადმი საერთაშორისო კონტროლის დაწესების საკითხებს.

შემდეგ გამოვიდა ა. ე. კორნეიჩუკი (სსრ კავშირი). საბჭოთა ხალხი, თქვა მან, მუდამ მოითხოვდა და შემდეგშიც მტკიცედ მოითხოვს აიკრძალოს ატომური, წყალბადისა და მასობრივი მოსპობის სხვა სახეობათა იარაღი და დაწესდეს ქმედითი კონტროლი ამ აკრძალვისადმი. საბჭოთა ადამიანები მოითხოვდნენ და შემდეგშიც მოითხოვენ შეწყდეს გამალებული შეიარაღება, მნიშვნელოვნად შემცირდეს შეიარაღებული ძალები და ჩვეულებრივი შეიარაღება სრულ განიარაღებამდეც კი.

კორნეიჩუკმა დაწვრილებით ჩამოაყალიბა საბჭოთა წინადადებანი განიარაღების საკითხებზე. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამ წინადადებებში დაწვრილებით შემუშავებულია იმ საერთაშორისო საკონტროლო ორგანოს ამოცანები, რომელიც თვალყურს ადევნებს ხელშეკრულების მონაწილეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების ზუსტად შესრულებას.

ჩვენი წმინდა მოვალეობაა, — განაცხადა დასასრულ კორნეიჩუკმა, — ამ სესიის მაღალი ტრიბუნიდან მივმართოთ მშვიდობის დამცველ ხალხებსა და ყველა ორგანიზაციას მოწოდებით გააერთიანონ თავიანთი ძალები გამალებული შეიარაღების წინააღმდეგ, განიარაღებისათვის, მსოფლიოს ყველა ხალხთა შორის ნდობისა და მეგობრული თანამშრომლობის აღდგენისათვის ბრძოლაში.

საღამოს სხდომაზე გამოვიდნენ აგრეთვე ინდოეთისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წარმომადგენლები.

საბჭოთა ენერგეტიკოსების დელეგაციის პრეს-კონფერენცია ღონდონში

გ. მ. მალენკოვის განცხადება

ლონდონი, 6 აპრილი. (საკდესი). პრეს-კონფერენციაზე, რომელიც გუშინ საბჭოთა ენერგეტიკოსების დელეგაციამ მოაწყო ლონდონში, დელეგაციის მეთაურმა გ. მ. მალენკოვმა გააკეთა განცხადება, რომელშიც აღნიშნა:

„ინგლისში ყოფნის პირველი დღიდანვე გარემოსილი ვართ სტუმართმოყვარეობის ატმოსფეროთი. არ დავმალავთ, ჩვენთვის სასიამოვნოა სიმპათიის ეს გრძნობები საბჭოთა ადამიანებისადმი; ჩვენ მას ვაკუთვნებთ არა პირადად ჩვენს თავს, არამედ ჩვენს საყვარელ სამშობლოს, საბჭოთა კავშირს“.

დელეგაციის სახელით მადლობა გადაუხადა რა ბრიტანეთის მთავრობას იმის გამო, რომ დელეგაციას შესაძლებლობა მიეცა სწვეოდა ინგლისს, მადლობა გადაუხადა რა ცენტრალური ენერგეტიკული სამმართველოს წარმომადგენლებს ჩინებული მიღებისა და დიდ ბრიტანეთში დელეგაციის ყოფნის ორგანიზაციისათვის, გ. მ. მალენკოვმა განაცხადა: „ამოცანა, რომელსაც ვისახავდით, შეიძლება ითქვას, საკმაოდ წარმატებით გადაიჭრა. ჩვენ შესაძლებლობა გვქონდა დაგვეთვალიერებინა ელექტროსადგურები, ქვესადგურები და ენერგეტიკული მოწყობილობის წარმოების ზოგიერთი ქარხანა, გავცნობოდით ატომის ცენტრს ჰარუელში და ატომის ელექტროსადგურის მშენებლობას კოლდერ-ჰოლში.

ჩვენ ვნახეთ, რომ თქვენს ქვეყანაში, ისევე როგორც ჩვენში, საბჭოთა კავშირში, დიდ ყურადღებას აქცევენ ახალ ტექნიკას. ჩვენი დელეგაციის ჩამოსვლა ინგლისში და დიდი ბრიტანეთის ენერგეტიკოსთა მომავალი ვიზიტი სსრ კავშირში შესაძლებელს გახდის ურთიერთ გამოვიყენოთ სახალხო მეურნეობის ისეთი დიდმნიშვნელოვანი დარგის საუკეთესო მიღწევები, როგორიც ენერგეტიკაა. პირადი კონტაქტების დამყარება დიდი ბრიტანეთის ენერგეტიკოსებთან, ჩვენი აზრით, დიდი ნაბიჯია წინ ჩვენს ქვეყნებს შორის ტექნიკური გამოცდილების გაცვლის საქმეში თანამშრომლობის განვითარებისათვის“.

„ინგლისის ენერგეტიკა, ისევე როგორც საბჭოთა კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და მრეწველობის მხრივ განვითარებული სხვა ქვეყნების ენერგეტიკა, — განაგრძო გ. მ. მალენკოვმა, — დაადგა დიდი ელექტროსადგურების მშენებლობას და იქ მძლავრი და ტექნიკურად სრულყოფილი ქვაბისა და ტურბინის აგრეგატების, ტრანსფორმატორების დადგმას ბლოკური სქემის ფართოდ გამოყენებით. ინგლისის ელექტროსადგურების განვითარებაში ასეთი ტექნიკური მიმართულება, უეჭველია, პროგრესულია“.

დელეგაციის მიერ კოლდერ-ჰოლში ატომის მშენებლობის პროცესში მყოფი ელექტროსადგურის ნაგებობათან დაკავშირებით გ. მ. მალენკოვმა აღნიშნა, რომ „მშვიდობიანი მიზნით ატომის ენერგიის გამოყენების კეთილშობილურმა მიზანმა არ შეიძლება არ გამოიწვიოს ჩვენი, საბჭოთა ხალხის წარმომადგენლების. მოწონების გრძნობა. ჩვენს ქვეყანაში განუხრელად ვესწრაფვით ამავე მიზანს და ამ დარგში არსებითი შედეგები გვაქვს. ჩვენ მიეცალმებით ბრიტანელი მეცნიერებისა და ინჟინრების ღონისძიებებს, რომლებიც წყვეტენ ელექტრონეკრავად ატომის ენერგიის გადაქცევის ამოცანას“.

„დიდ ბრიტანეთში ჩვენი ყოფნის მთელი დღეები და ჩვენ მიერ ბევრი საწარმოს ნახვა მეგობრობის ატმოსფეროში მიმდინარეობდა,— ხაზგასმით აღნიშნა გ. მ. მალენკოვმა. — მე ვფიქრობ, რომ სრული საფუძვლით შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ, საბჭოთა ენერგეტიკოსებმა, ინგლისსა და შოტლანდიაში ბევრი მეგობარი შევიძინეთ და ბევრი ბრიტანელი კოლეგის მეგობარი გავხდით“.

გ. მ. მალენკოვმა აღნიშნა, რომ საბჭოთა ენერგეტიკოსების დელეგაცია იყო ინგლისის ბევრ ქალაქში, საწარმოში, ინახულა ზოგიერთი სასწავლებელი, დაათვალიერა ძველებური ციხე-დარბაზები, მუზეუმები. „ყველგან, სადაც ჩვენ ვიყავით, — თქვა მან, — ჩვეულებრივ გვეკითხებოდნენ, თქვენზე ინგლისში ყველაზე ძლიერი შთაბეჭდილება რამ მოახდინო. ჩვენ ყოველთვის ვუპასუხებდით და ახლაც გეუბნებით, რომ ჩვენს შეგნებაში აღიბეჭდა განსაკუთრებით მეგობრული გრძნობები საბჭოთა ადამიანებისადმი, სსრ კავშირისადმი, ყველას გულწრფელი ზრუნვა, ვისაც უნდა შეეხვედროდით, — უბრალო ადამიანებს, საქმიანი წრეების წარმომადგენლებს, საზოგადო და პოლიტიკურ მოღვაწეებს. — ზრუნვა იმისათვის, რომ უფრო განმტკიცდეს მეგობრობა ჩვენს ხალხებს შორის...

მრავალ საუბარში, რომლებიც ჩვენ გვქონდა, ჩვენი ყურადღება არაერთხელ მიუპყრია იმას, რომ ჩვენი ქვეყნები ორივე მსოფლიო ომში ერთად იბრძოდნენ ამ გარემოების გამო მშვიდობიანი დროის პირობებში უფრო მეტი საფუძველი გვაქვს მივიღოთ ერთობლივი ღონისძიებანი ომის თავიდან ასაცილებლად, მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების განსამტკიცებლად.

თქვენს ქვეყანაში მოგზაურობის დროს, როცა ვხვდებოდით პოლიტიკურ და საზოგადო მოღვაწეებს, საქმიანი წრეების ბევრ წარმომადგენელს, ურთიერთობა გვქონდა რა ინგლისელ ხალხთან, შესაძლებლობა მოგვეცა ერთხელ კიდევ დავრწმუნებულიყავით, რომ ახლანდელ საერთაშორისო ვითარებაში განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ნება არ მივცეთ ადამიანთა ყურადღება მიპყრონ იმას, რაც ჩვენ გვთიშავს. ინგლისში ჩვენი ყოფნის გამოცდილებით ვხედავთ, თუ როდენ დიდმნიშვნელოვანი და სასარგებლოა ვიზრუნოთ იმისთვის, რომ ყურადღება მიექცეს ყოველივე იმის განმტკიცებას, რაც ჩვენს ქვეყნებს, ჩვენს ხალხებს აერთიანებს საყოველთაო მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფის კეთილშობილურ საქმეში.

თქვენ იცით, რომ ჩვენ, საბჭოთა ადამიანები, მტკიცედ და გადაჭრით ვემხრობით მშვიდობას და ვართ ომის წინააღმდეგნი და მიგვაჩნია, რომ ომი ფატალური გარდუვალობა არ არის. საბჭოთა ხალხს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი კვლავაც დაიცვას სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის საქმე, მაუხედავად მათი საზოგადოებრივი სისტემების განსხვავებისა.

ჩვენ ვემხრობით ინგლისელ ხალხთან ყოველი ღონისძიებით დაახლოებას, ჩვენს ქვეყნებს შორის კარგი და მეგობრული ურთიერთობის შემდგომ განვითარებას“.

პრეს-კონფერენციის მსვლელობაში გ. მ. მალენკოვმა და დელეგაციის წევრებმა უპასუხეს ინგლისელი და უცხოელი კორესპონდენტების მრავალ კითხვაზე.

სიტყვიერი უბედურება ამერიკის შეერთებულ შტატებში

ნიუ-იორკი, 4 აპრილი. (საკდესი). პრესის ცნობებით, უკანასკნელ ორ დღეში ამერიკის შეერთებული შტატების ცენტრალურ პაწალში ძლიერი ქარი ბძვნიერობდა. ქარმა, რომლის სიჩქარე აღწევდა 100 კილომეტრს საათში, დიდი ზარალი გამოიწვია ჩრდილოეთ და სამხრეთ დაკოტის, ვისკონსინის, აიოვას, მისისიპის, ტენესის, არკანზასის, მიჩიგანის, ალაბამის შტატებში. დაზარალებულია ხუთასი სახლი, მთელი რიგი სამრეწველო საწარმოები, ელექტროგადამცემი ხაზები.

არასრული ცნობებით, მოკლულია 44 კაცი და დაშავებულია 450-ზე მეტი.

უშიშროების საბჭოში

ნიუ-იორკი, 5 აპრილი. (საკდესი). გუშინ გაიმართა უშიშროების საბჭოს ორი სხდომა, რომლებზეც განიხილავდნენ საკითხს არაბთა ქვეყნებსა და ისრაელს შორის დაზავების შესახებ საერთო შეთანხმებათა შესრულების, აგრეთვე იმ რეზოლუციების განხორციელების შესახებ, რომლებიც უშიშროების საბჭომ პალესტინის საკითხზე მიიღო უკანასკნელ დროს. ეგვიპტისა და სირიის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ დაკმაყოფილებული არიან იმ ახსნა-განმარტებებით, რომლებიც მათ რეზოლუციის პროექტის ავტორებმა მისცეს პალესტინის რაიონში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის მისიის მიზნების შესახებ და, კერძოდ, განცხადებებით, რომ გენერალური მდივნის მისია არ გასცდება დაზავების შესახებ საერთო შეთანხმებათა და უშიშროების საბჭოს რეზოლუციების ჩარჩოებს. მათ აგრეთვე ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ყველა ღონისძიება, რომლებიც გათვალისწინებულია რეზოლუციის პროექტით, უნდა განხორციელდეს დაინტერესებულ მხარეთა თანხმობით.

სირიის დელეგაციის მეთაურმა შუქერიმ აღნიშნა, რომ გენერალური მდივნის ძირითადი ამოცანა, როგორც მას ესმის, იქნება დაზავების შესახებ შეთანხმებათა და პალესტინის საკითხზე უშიშროების საბჭოს რეზოლუციების შესრულების გზების გამონახვა. სირიის წარმომადგენელმა სურვილი გამოთქვა, რომ გენერალურმა მდივანმა ზემოაღნიშნულ გადაწყვეტილებათა შესრულების მდგომარეობის გამორკვევის შემდეგ ურჩიოს უშიშროების საბჭოს გარკვეული პრევენტიული ღონისძიებანი, რომლებიც საბჭომ შეიძლება მიიღოს იმ ქვეყნების წინააღმდეგ, რომლებიც დაარღვევენ დაზავების შესახებ შეთანხმებით დაწესებულ სადემარკაციო ხაზებს. ამასთან დაკავშირებით შუქერიმ ხაზგასმით აღნიშნა ის ფაქტი, რომ ისრაელის შეიარაღებულ ძალებს არაერთგზის დაურღვევიათ სადემარკაციო ხაზები, რისთვისაც, განაგრძო შუქერიმ, ისრაელი დაგმეს როგორც უშიშროების საბჭოში, ისე დაზავების პირობების შესრულების სამეთვალყურეო კომისიაში.

ეგვიპტისა და სირიის წარმომადგენლებმა კმაყოფილებით აღნიშნეს საბჭოთა კავშირის დელეგაციის ღონისძიებანი, რომელთა მიზანია ამერიკის შეერთებული შტატების რეზოლუციის პროექტის გაუჯობესება მასში მთელ რიგ შესწორებათა შეტანის გზით. ეს შესწორებანი, განაცხადეს მათ, უშიშროების საბჭოს ყურადღების ღირსია, რამდენადაც ისინი აუმჯობესებენ რეზოლუციის პროექტის ტექსტს და აადვილებენ გენერალური მდივნის მისიის ამოცანებს.

სირიის წარმომადგენელმა ყურადღება მიაქცია იმას, რომ პალესტინის პრობლემის მოწესრიგება და მშვიდობა ამ რაიონში შეიძლება მიღწეულ იქნას არა ძალის გამოყენების გზით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მხრივ ან ამ ორგანიზაციის გვერდის ავლით, არამედ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მხრივ სამართლიანობის გამოჩენით. პალესტინის საკითხი უნდა გაირჩეს უშიშროების საბჭოში და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეაში და არა „უკანა ეზოში“. განაცხადა შუქერიმ. საჭიროა შეწყდეს ყველა მოქმედება და ღონისძიება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჩარჩოების გარეთ, რომლებიც დაკავშირებულია პალესტინის პრობლემასთან. თუ ეს საკითხი საერთაშორისოა, იგი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში უნდა გაირჩეს. თუ ეს საკითხი რეგიონალურია, მაშინ დიდი სახელმწიფოები არ უნდა ჩაერიონ ამ რაიონის საქმეებში.

შემდეგ გამოვიდა სსრ კავშირის წარმომადგენელი ა. ა. სობოლევი.

საბჭოთა დელეგაციას, თქვა ა. ა. სობოლევმა, უწინარეს ყოვლისა სურს გამოთქვას მწუხარება ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლის ლოჯის განცხადების გამო, რომ ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაცია ვერ მიიღებს საბჭოთა შესწორებებს. კვლავ განმარტა რა სსრ კავშირის დელეგაციის შესწორებათა არსი, ა. ა. სობოლევმა თქვა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების რეზოლუციის პროექტის შე-3 პუნქტის შესწორება, საც ლაპარაკია იმ ღონისძიებებზე, რომლებიც გენერალურმა მდივანმა უნდა განახორციელოს დაზავებით დაწესებული სადემარკაციო ხაზების რაიონში არსებული დაძაბულობის შენელების მიზნით, აზუსტებს რეზოლუციის პროექტს იმ მხრივ, რომ გენერალურმა მდივანმა უნდა განახორციელოს ისეთი ღონისძიებანი, რომლებიც მისაღები იქნება დაინტერესებული მხარეებისათვის და შეთანხმებული იქნება მათთან.

ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელმა, თქვა ა. ა. სობოლევმა, თავის განმარტებაში არაბთა ქვეყნების წარმომადგენლების კითხვების პასუხად განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების რეზოლუციის პროექტს აქვს მხედველობაში, რომ მხარეთა შეთანხმება აუცილებლად საჭიროა ამ რაიონში დაძაბულობის შენელების ღონისძიებათა განსახორციელებლად. ამრიგად, ჩვენ ამ მხრივ არავითარი უთანხმება არა გვაქვს. შეერთებული შტატების დელეგაციას მიაჩნია, რომ საჭიროა მხარეთა თანხმობა, და ჩვენ მიგვაჩნია, რომ დაძაბულობის შენელების ღონისძიებათა განსახორციელებლად საჭიროა ამ ღონისძიებათა განხორციელების მონაწილე მხარეების თანხმობა. ამ შემთხვევაში რატომღა ეწინააღმდეგება ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაცია იმას, რომ ეს გარკვეული ჩაიწეროს რეზოლუციის პროექტში? — იკითხა ა. ა. სობოლევმა.

საბჭოთა წარმომადგენელმა ყურადღება მიაქცია აგრეთვე რეზოლუციის 1 პუნქტის—შეერთებული შტატების რეზოლუციის ერთ-ერთი ძირითადი პუნქტის საბჭოთა შესწორებას. ამ პუნქტის უკანასკნელი ნაწილი წინადადებას აძლევს უშიშროების საბჭოს ახლო აღმოსავლეთის რაიონში ახლანდელი მდგომარეობის განგრძობა კვალიფიცირებულ იქნას როგორც საფრთხე საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების დაცვისათვის. იბადება კითხვა, თქვა ა. ა. სობოლევმა: რა მონაცემებია იმისათვის, რომ ამჟამად წინასწარ განვსაზღვროთ მდგომარეობის ასეთი კვალიფიკაცია, როცა ჯერ არა გვაქვს არც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის მოხსენება ამ რაიონში არსებული მდგომარეობის შესახებ, არც დაზავების პირობების შესრულებისადმი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამეთვალყურეო კომისიის შტაბის უფროსის მოხსენება. საბჭოს არ მოუსმენია აგრეთვე ამ სიტუაციით დაინტერესებულ მხარეთა აზრი.

თუ ჩვენ უკვე ახლა, როცა სათანადო მოხსენებანი არ მიგვიღია, გვსურს განვაცხადოთ, რომ მდგომარეობას ახლო აღმოსავლეთში შეუძლია საფრთხე შეუქმნას საერთაშორისო მშვიდობას, მაშინ რისთვისაა უნდა გავგზავნოთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი ამ რაიონში და ამ საკითხის გადაჭრა ერთი თვით გადავდოთ? იმისათვის, რომ გავგზავნოთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი, საკმაო იქნება დავდასტურთ, რომ შეთანხმებანი დაზავების შესახებ დამაკმაყოფილებლად არ სრულდება, და მივანდოთ მას შეისწავლოს მდგომარეობა ადგილზე, ხოლო შემდეგ მოახსენოს უშიშროების საბჭოს. ამის შემდეგ უშიშროების საბჭო, მოუსმენს რა მხარეებს, გადაწყვეტს, მართლაც შეუძლია თუ არა ამ სიტუაციის განგრძობას საფრთხე შეუქმნას საერთაშორისო მშვიდობასა და უშიშროებას და რა არის საჭირო იმისათვის, რომ ეს მდგომარეობა გაუჯობესდეს. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ეს იქნებოდა საბჭოში ახლო და შუა აღმოსავლეთის საკითხის განხილვის ნორმალური პროცედურა. ჩვენ კი წინადადებას გვაძლევენ არ ველოდოთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის მოხსენებას და უკვე წინასწარ განვსაზღვროთ, რომ დაზავების შესახებ შეთანხმების შეუსრულებლობა განგრძობა მხარეთა მიერ საფრთხეს უქმნის მშვიდობასა და უშიშროებას ამ რაიონში. თუ უშიშროების საბჭო მიიღებს ისეთ გადაწყვეტილებას, რომელიც მოცემულია რეზოლუციაში, მაშინ მისი მოვალეობაა მიიღოს რაიმე ღონისძიება. რეზოლუციის პროექტის ავტორები კი ამჟამად არ მოითხოვენ რაიმე ღონისძიების მიღებას, გარდა იმისა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს მიმართავენ თხოვნით მოგვცეს იმის მიმოხილვა, რაც ამ რაიონში ხდება, ხოლო შემდეგ განიხილონ მდგომარეობა.

თუ უშიშროების საბჭო, თქვა შემდეგ ა. ა. სობოლევმა, არ აპირებს ამჟამად განიხილოს ეს სიტუაცია და განზრახვა არა აქვს ამჟამად მიიღოს რაიმე ღონისძიება ამ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, მაშინ რისთვისაა საჭირო სპეციალური რეზოლუციის ეს პუნქტი? რისთვისაა საჭირო ამჟამად მივიღოთ ამგვარი წინადადება? იმისათვის, ხომ არა, რომ ეს პუნქტი შემდეგში გამოყენებულ იქნეს იმ ღონისძიებათა გასამართლებლად, რომლებსაც იღებენ სპარატული წესით, უშიშროების საბჭოს გვერდის ავლით?

თუ ეს საჭიროა სწორედ ამ მიზნებისათვის, მაშინ საბჭოთა დელეგაცია არ მოისურვებდა მონაწილეობას ამ პუნქტის მიღებაში, რომელსაც შეუძლია მისცეს სანქცია ან შექმნას საბაბი ამგვარი მოქმედებისათვის.

ეყრდნობა რა ამას, განაგრძო ა. ა. სობოლევმა, საბჭოთა დელეგაცია მოითხოვს რეზოლუციის ამ პროექტში, რომელიც შეზღუდულ მიზნებსა და ამოცანებს ისახავს, დადასტურდეს, რომ ამ რაიონში დამაკმაყოფილებელი არ არის დაზავების შესახებ შეთანხმებისა და უშიშროების საბჭოს ზემოაღნიშნული რეზოლუციების შესრულების მდგომარეობა. ჩვენი აზრით, უშიშროების საბჭოს ასეთი კონსტატაცია სწორი და საკმაო იქნებოდა ამ რეზოლუციის მიზნებისათვის, რომლებიც გენერალური მდივნის წინაშე ისახება.

ა. ა. სობოლევმა განმარტა სხვა შესწორებებიც, რომლებიც სსრ კავშირის დელეგაციამ შეიტანა.

ინგლისის, საფრანგეთის, ავსტრალიისა და პერუს წარმომადგენლებმა კვლავ დაუჭირეს მხარი ამერიკის შეერთებული შტატების რეზოლუციის პროექტს და გაელაშქრეს საბჭოთა შესწორებების წინააღმდეგ. ისინი სრულიად დაუსაბუთებლად ამტკიცებდნენ, რომ საბჭოთა შესწორებანი თითქოს „არ აუმჯობესებენ“ რეზოლუციის პროექტს.

უპასუხა რა ამ გამოსვლებზე, სსრ კავშირის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ, მაშინ როცა უშიშროების საბჭო განიხილავს შუა აღმოსავლეთში არსებულ მდგომარეობას, დასავლეთის სამი სახელმწიფო სეპარატულად უთანხმდება ერთმანეთს ამ რაიონში ერთობლივი მოქმედების შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გვერდის ავლით და უშუალოდ დაინტერესებულ მხარეთა მონაწილეობის მიუღებლად. ამასთან ა. ა. სობოლევმა მიიყვანა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენლის 4 აპრილის განცხადება ამგვარი სეპარატული მოლაპარაკების შესახებ, რომელიც ამჟამად წარმოებს ინგლისს, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საფრანგეთს შორის.

ამის შემდეგ უშიშროების საბჭო შეუდგა ამერიკის შეერთებული შტატების რეზოლუციის პროექტისა და საბჭოთა კავშირის შესწორებებისათვის კენჭისყრას. საბჭოთა შესწორებანი უარყვეს.

მიღებულ იქნა ამერიკის შეერთებული შტატების რეზოლუციის პროექტი.

განმარტა რა მთლიანად რეზოლუციის პროექტისათვის კენჭისყრის მოტივები, ა. ა. სობოლევმა განაცხადა, რომ საბჭოთა დელეგაციამ ხმა მისცა რეზოლუციის ამ პროექტს, რაკი მხედველობაში აქვს, რომ ეს რეზოლუცია მისაღებ დაინტერესებული მხარეებისათვის. საბჭოთა დელეგაცია, თქვა მან, ანგარიშს უწევდა აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციის ახსნა-განმარტებას, კერძოდ, იმის განმარტებას, რომ ყველა ღონისძიება, რომლებსაც გენერალური მდივანი მიიღებს უშიშროების საბჭოს მიერ მისთვის მიცემული დავალების შესრულებისას, არ გასცდება არაბთა ქვეყნებსა და ისრაელს შორის დაზავების საერთო შეთანხმებათა ჩარჩოებს და განხორციელდება, თუ დაინტერესებული მხარეები დაეთანხმებიან ამას.

საფრანგეთ-ტუნისის მოლაპარაკება

პარიზი, 5 აპრილი. (საკდესი). გუშინ პარიზში დაიწყო წინასწარი მოლაპარაკება ტუნისის შინაგან საქმეთა მინისტრ მონენი სლიმსა და საფრანგეთის სტატს-მდივან ალენ სავარის შორის, რომელიც ტუნისისა და მაროკოს საქმეებს განაგებს. როგორც გაზეთი „ენფორმასიონი“ იუწყება, მოლაპარაკების მონაწილენი განიხილავენ ტუნისის ხელისუფალთა გამგებლობაში პოლიციისა და უშიშროების ორგანოების გადაცემის საკითხს. ეს ეგრეთწოდებული „მცირე მოლაპარაკება“ წინ უძღვის მოლაპარაკებას, რომელიც საფრანგეთ-ტუნისის 1956 წლის 20 მარტის ოქმის შესაბამისად უნდა დაიწყოს 16 აპრილს და რომელიც შეეხება თავდაცვისა და საგარეო პოლიტიკის დარგში ტუნისის მთავრობის რწმუნებათა საკითხს.

გაიხსნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ევროპის ეკონომიური კომისიის XI სესია

ჟენევა, 5 აპრილი. (საკდესი). დღეს ჟენევაში უერების სასახლეში გაიხსნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ევროპის ეკონომიური კომისიის XI სესია.

სესიის მუშაობაში მონაწილეობენ სსრ კავშირის, უკრაინის სსრ, ბელორუსიის სსრ, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, იუგოსლავიის, ინგლისის, საფრანგეთის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ბევრი სხვა ქვეყნის წარმომადგენლები, აგრეთვე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის არასამთავრობო ორგანიზაციათა და სპეციალიზებულ დაწესებულებათა წარმომადგენლები. საბჭოთა კავშირის დელეგაციას მეთაურობს სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის მინისტრი ი. გ. ალბანოვი, უკრაინის სსრ დელეგაციას — უკრაინის ვაჭრობის მინისტრი გ. ლ. სახნოვსკი, ბელორუსიის სსრ დელეგაციას — ბელორუსიის ფინანსთა მინისტრი ფ. ლ. კობონოვი. ცხრა ქვეყნის — ავსტრიის, ალბანეთის, ბულგარეთის, უნგრეთის, ირლანდიის, იტალიის, პორტუგალიის, რუმინეთისა და ფინეთის წარმომადგენლები პირველად მონაწილეობენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ევროპის ეკონომიური კომისიის სესიის მუშაობაში გადამწყვეტი ხმის უფლებით. სესიაზე პირველად არიან წარმოდგენილი გერმანიის ფედერალური რესპუბლიკა და ესპანეთი.

სესია გახსნა ი. კაც-სუხმ (პოლონეთი). მიესალმა რა სესიის მონაწილეებს, მან ხაზგასმით აღნიშნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ევროპის ეკონომიური კომისიის როლი ევროპის სახელმწიფოთა შორის ეკონომიური თანამშრომლობის განვითარების საქმეში. შემდეგ სიტყვა წარმოთქვა კომისიის აღმასრულებელმა მდივანმა გ. პიერდელმა. მან აღნიშნა ა. სესიის დიდი მნიშვნელობა.

სესიის მონაწილეთ მიესალმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის თანაშემწე ფ. დე სერინი.

ამით დამთავრდა სესიის დღევანდელი სხდომა. 6 აპრილს სესია შეუდგება თავისი დღის წესრიგის განხილვას.

თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტთან 1956 წლის 10 აპრილიდან ეწყობა სამთვიანი მოსამზადებელი კურსები ინსტიტუტის საღამოს განყოფილებაზე შემსვლელთათვის. კურსებზე პიიღებიან წარმოებაში მომუშავე პირები.

კურსებზე ჩარიცხვისათვის საჭიროა წარძოდგენილი იქნას შემდეგი საბუთები: განცხადება ინსტიტუტის უფროსის სახელზე, სიმწიფის ატესტატი ან ტექნიკუმის დამთავრების დიპლომი (დედანი), ავტობიოგრაფია, 3 ფოტოსურათი ზომით 3×4 სმ., ცნობა სამსახურიდან — თანამდებობის შესახებ, დახასიათება წარმოებიდან, ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან.

სწავლება იწარმოებს ქართულ და რუსულ ენებზე, კვირაში სამჯერ. სწავლების ღირებულება მთელი პერიოდისათვის — 150 მანეთი.

განცხადებები მიიღება შემდეგი მისამართით: თბილისი, ლენინის ქ. № 98, ვ. ი. ლენინის სახელობის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტი, საღამოს განყოფილება. 17 საათიდან 22 საათამდე, ტელ. № 3-50-27, დამ. 1-21.

დირექცია.

დღეს

თბილისის თეატრებში

ოპერისა და ბალეტის — კარმენი, **რუსთაველის სახელობის** — ოიდიპოს მეფე, **მარჯანიშვილის სახელობის**—ჰიგალიონი, **გრიბოედოვის სახელობის** — ბატონი ტოპაზი, **მუსიკალური კომედიის** — ლაი ქარი, **სომხური დრამის** — ლელა, **მოზარდ მაყურებელთა ქართული**— გლახის ნაამბობი (პონომეტი № 16, 7 ს.), **მოზარდ მაყურებელთა რუსული**— ღალტი (8 ს.), **ფილარმონია** — კონცერტი (საზამთრო დარბაზი, 9 ს.).

კინოთეატრებში

რუსთაველის სახელობის, ამირანი, ისანი, პლეხანოვის სახელობის კლუბი— ოტელო, **ოქტომბერი, სპარტაკი, 26 კომისრის სახელობის, თბილისი, კიროვის სახელობის პარკი** — გზები და ბედი, **კომკავშირელი, ძერჟ